

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი

№ 19

*ახალი ამბები*  
საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

*ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები*  
დაიგა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე

*ქართული სიმღერის მოამბეები*  
ოთარ ბერძენიშვილი

გელა გუგავას გახსენება

მიხაილ ლობანოვი

*ქართული სიმღერის უცხოელი*  
*შემსრულებლები*  
ჯგუფი „ჰაერი“ ჩეხეთიდან

*უცხოური ფოლკლორული ანსამბლი*  
ანსამბლი „ფელუკა“ თურქეთიდან

*ახალი ქართული ფოლკლორული ანსამბლი*  
„ადილეი“

*ექსპედიციის დღიური*  
ექსპედიცია თურქეთში, ინეგოლის რაიონის  
ქართულ სოფლებში

გ. სალუქვაძის სახელობის საერთაშორისო  
ფოლკლორული ფესტივალი და  
სახლ-მუზეუმის გახსნა გურიაში

*უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ*  
ინტერვიუ ქეროლაინ ბითელთან

*ერთი ტრადიციული საკრავის შესახებ*  
გუდასტვირი და მისი „ნათესავეები“  
მსოფლიოში

*წერილები არქივიდან*  
მარიამ არჯენიშვილი  
ქართული ხალხური შრომის სიმღერები

*ერთი ჟანრის შესახებ*  
აკვნის ნანა

ხევსურული და სვანური ნანები

თბილისი. დეკემბერი, 2015

## ახალი ამბები

### საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(ივლისი-დეკემბერი, 2015)

#### ფესტივალები და კონფერენციები

**3-4.10.2015** – ხობში გაიმართა მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“

**7.10.2015** – ჯანსუღ კახიძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალის „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ანსამბლმა „ბასიანმა“ სოლო კონცერტი გამართა

**14-16.10.2015** – ოზურგეთში ჩატარდა „გიორგი სალუქვაძის სახელობის მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი“ და გაიხსნა მისი სახელობის სახლ-მუზეუმი

**2-4.11.2015** – ბათუმში ჩატარდა „გიგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის X საერთაშორისო ფესტივალი“ და კონფერენცია „ხალხური და საეკლესიო მუსიკის საშემსრულებლო პრობლემები“

**8.11.2015** – კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა „საქართველოს ფოლკლორის დათვალიერება-ფესტივალი 2015-2016“-ის თბილისის ტური

**9-10.11.2015** – საჩხერეში ჩატარდა ფესტივალი „ქართული საგალობლები“

**23.12.2015** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა საღვთისმეტყველო სამეცნიერო კონფერენცია

#### კომპაქტ-დისკები, ლექციები, შეხვედრები, პრეზენტაციები და სხვ.

**1.10.2015** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ მიერ გამოცემული, ცნობილი ქართველი ლოტბარების, ანდრო სიმაშვილისა და პოლიკარპე ხუბულავას მონოგრაფიების პრეზენტაცია

**1.10.2015** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში

ში გაიმართა შეხვედრა ცნობილ ქართველ ეთნოფორთან, ანდრო სიმაშვილთან

**6.10.2015** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა ესპანელი ეთნომუსიკოლოგის, პოლო ვალეჰოს საჯარო ლექცია თემაზე: „ჩემი აფრიკული გამოცდილება“

**19.11.2015** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა ამ სასწავლებლის ერთ-ერთი სახელოსნოს ხელმძღვანელის, ზაალ წერეთლის ლექცია თემაზე: „ვიგალობით „გალობანი სინანულიანსი““

#### ექსპედიციები

**3-14.08.2015** – ტმცს-მა მოაწყო ექსპედიცია ინგოლის რაიონში (ბურსას პროვინცია, თურქეთი) (ექსპედიციის წევრები: ნინო რაზმაძე და ბაია ჟუჟუნაძე)

**23-29.08.2015** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტმა, გიორგი კრავეიშვილმა მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია კლარჯეთში, კერძოდ, ბორჩხისა და მურღულის რაიონის სოფლებში, ხოლო **1.09.2015** და **29.11.2015** – ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში.

**13-14.10.2015** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის I კურსის სტუდენტებმა მოაწვეეს ექსპედიცია სოფლებში ქვემო ალვანსა და ართანაში (ხელმძღვანელი ნინო ნანეიშვილი)

#### გასტროლები, მასტერ-კლასები

**26-28.07.2015** – ანსამბლმა „ბასიანმა“ მონაწილეობა მიიღო საეკლესიო მუსიკის ფესტივალში კუნძულ ვალაამზე (კარელიის რესპუბლიკა, რუსეთი)

**25-30.08.2015** – ანსამბლმა „დიდგორმა“ მონაწილეობა მიიღო სამარყანდში (უზბეკეთი) გამართულ X საერთაშორისო ფესტივალში „აღმოსავლეთის მელოდიები“

**23-25.10.2015** – ეთნომუსიკოლოგი ნინო ნანეიშვილი იმყოფებოდა ინგლისში მასტერკლასების ჩასატარებლად

**14.10-3.11.2015** – ანსამბლმა „სახიობამ“ პოლონეთის ქალაქებში – ვარშავა, ვროცლავი, ვაღლებიხი, სვიდნიცა და ღბერჟენოვიცა – ჩაატარა კონცერტები და მასტერკლასები

14.11.2015 – „ანჩისხატის გუნდმა“ მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ქალაქ ლოძში გამართულ „ქრისტიანული კულტურის ფესტივალში“

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა:

6-15.08.2015 – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რამდენიმე პროვინციაში

6-8.10.2015 – შვეიცარიაში, ქალაქ ვენევაში, ისმოს (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია) გენერალურ ასამბლეაზე, სადაც გაიმართა ქართული ტრადიციული რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვაც

9-15.10.2015 – ინგლისში კონცერტებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად

### გამოცემები

საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“:

ნინო კალანდაძე-მახარაძის წიგნი „პოლიკარპე ხუბულავა“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ აღინიშნა პრემიით, როგორც 2015 წლის საუკეთესო მუსიკოლოგიური ნაშრომი



მარინა კვიციანიძის წიგნი „ანდრო სიმაშვილი“



საშობაო კომპაქტ-დისკი „შობისა და ახალი წლის ტრადიციული მუსიკა საქართველოში“



საქველმოქმედო ფონდი „ხობი“:


ანთოლოგია „380 ქართული ხალხური სიმღერა – ანსამბლი „რუსთავი“ (16 კომპაქტ დისკით)





**ტმკსც-მა გამოსცა:**

**ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმის კრებული**



**კონცერტები და საღამოები**

**9.07.2015** – რუსთაველის თეატრში ფონდმა „ქართული გალობა“ გამართა ტრადიციული, რიგით მესამე დაჯილდოება-კონცერტი სახელწოდებით „ქართული სიმღერა – კაცობრიობის საგანძური“, რომელზეც დააჯილდოვა ქართული ტრადიციული მუსიკის დეკლამაციური მონაწილეები, ასევე, მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები

**10.07.2015** – ანსამბლმა „ბასიანმა“ სოლო კონცერტი გამართა ბათუმის ბულვარის ღია სცენაზე

**25.07.2015** – ქ. ოზურგეთში გაიმართა წმ. ფილიმონ ქორიძის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ფილიმონობა“, რომელშიც

მონაწილეობა მიიღეს მომღერალ-მგალობელთა ანსამბლებმა

**25.07.2015** – ქ. ოზურგეთში გაიმართა წმ. ფილიმონ ქორიძის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ფილიმონობა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მომღერალ-მგალობელთა ანსამბლებმა

**28.09.2015** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა საგუნდო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ნორვეგიელ მომღერალთა გუნდმა „Øystre Slidre Sanglag“ და ქართველ მომღერალ-მგალობელთა გუნდმა „დიდგორი“;

**1.10.2015** კი ანალოგიური კონცერტი გაიმართა სიღნაღის თეატრში

**17-18.10.2015** – „თბილისობის“ დღესასწაულზე გაიმართა ფოლკლორული კონცერტები თბილისური ანსამბლების მონაწილეობით

**3.12.2015** – ინვალიდთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ანსამბლმა „ნანინამ“ სოლო კონცერტი გამართა დუშეთის შ.შ.მ. პირთა პანსიონატში

**11.12.2015** – რუსთაველის თეატრში გაიმართა ხალხური პოეზიის საღამო „დექსო, არ დაიკარგები“, რომელშიც ზეპირსიტყვიერების ოსტატებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმაც

**24.12.2015** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა საშობაო კონცერტი სასწავლებლის სტუდენტებისა და პედაგოგების მონაწილეობით

**საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ იხ. [www.folk.gov.ge](http://www.folk.gov.ge)**

*მოამზადა მაკა ხარძიანმა*

## ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები

### დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე



დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე

ჩვენი რუბრიკის სტუმარია ლიტველი ეთნომუსიკოლოგი დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე, რომელიც არამარტო საინტერესო სამეცნიერო, არამედ შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწევა თავის სამშობლოში.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ლიტვის მუსიკალური აკადემიის ეთნომუსიკოლოგიის კათედრის გამგე და დოცენტი, რომლის სამეცნიერო ინტერესები უმთავრესად ლიტვეურ სუტარტინესს უკავშირდება, ამჟვე დროს, ხელმძღვანელობს სუტარტინესის შემსრულებელ ქალთა გუნდს „ტრის კეტურიოზე“, რომელსაც ჩვენს ერთ-ერთ ბიულეტენშიც მივუძღვევით სტატია (იხ. №15).

როდესაც ქალბატონ დაივას შევთავაზეთ, დაეწერა წერილი თავისი სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ ჩვენი ბიულეტენისთვის, მან გადაწყვიტა, ეს წერილი მთლიანად მიეძღვნა მისი საქართველოსთან ურთიერთობისთვის; საკუთარი განათლების, პროფესიული გამოცდილების, სამეცნიერო ინტერესების, პროექტების, ჯილდოების, ნაშრომების შესახებ ინფორმაციის მისაღებად კი ინტერნეტბმულების მითითებით შემოიფარგლა.

ვგიჟრობთ, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს დაივა რაჩიუნაიტეს განსაკუთრებ-

ულ დამოკიდებულებაზე საქართველოსთან, ქართველ კოლეგებსა და ქართულ კულტურასთან.

ჩვენ შემოგთავაზებთ დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენეს შემოქმედებით ბიოგრაფიას, შემდეგ კი – მის წერილს.

#### განათლება

2009 – ჰაბილიტირებული დოქტორი, ჰუმანიტარული მეცნიერებები (მუსიკოლოგია, ეთნომუსიკოლოგია), კულტურის, ფილოსოფიისა და ხელოვნების ინსტიტუტი, ვილნიუსი.

1993 – სადოქტორო დისერტაცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (მუსიკოლოგია, ეთნომუსიკოლოგია), ლიტვის მუსიკალური აკადემია, ვილნიუსი.

1985 – ლიტვის სსრ სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკოლოგიის ფაკულტეტი (ფოლკლორისტიკა).

#### პროფესიული გამოცდილება

2011 – ლიტვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების პროფესორი

2010 – ლიტვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების სტიპენდიანტი ეთნომუსიკოლოგიაში

2001 – ლიტვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი

1989-1998 – ლექტორი, 1998-2011 – ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების ასოცირებული პროფესორი

1986 წლიდან – ანსამბლ „ტრის კეტურიოზეს“ ხელმძღვანელი

1985 წლიდან – ვილნიუსის ყოველწლიური სერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის „Skamba Skamba Kankliai“ ორგანიზატორი

1985-1994 – ლიტვის სსრ სახელმწიფო კონსერვატორიის ხალხური მუსიკის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი (1990 წლიდან – ლიტვის მუსიკის აკადემია)

1982-1996 – მ.კ. ჩურლიონისის ხელოვნების სკოლის ხალხური მუსიკის ანსამბლის ხელმძღვანელი

#### პედაგოგიური გამოცდილება

ეთნომუსიკოლოგიის საფუძვლები

მუსიკალური დიალექტოლოგია

ევროპელი ერების მრავალხმიანობა

ეთნიკური მუსიკის სწავლების მეთოდოლოგია  
სოლფეჯიო  
აკადემიური წერა  
სუტარტინესის შემსრულებლობა: თეორია და პრაქტიკა  
მუსიკალური ანთროპოლოგია

### სამეცნიერო ინტერესის სფეროები

ლიტერული მრავალხმიანი სუტარტინესი; ევროპული მრავალხმიანი სიმღერა; ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერა თანამედროვე კულტურაში; შემსრულებლობის თავისებურებები; ეთნო-ლინგვისტური მსოფლმხედველობა; ხალხური მუსიკალური განათლება და ინტერპრეტაცია; ეთნიკური კულტურის გავრცელება თანამედროვე საზოგადოებაში.

### სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობა:

- 2010 – ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭო (ICTM)
- 2003 – ევროპული სემინარი ეთნომუსიკოლოგიაში (ESEM)
- 1993 – ლიტვის კომპოზიტორთა კავშირი

### ჯილდოები

2009 – მეორე პრემია „მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პროულარიზაციისთვის“ – კალენდარული დღესასწაულების ხალხური მუსიკა და ტრადიციები (DVD და წიგნი; შემკრები და რედაქტორი დ. ვიჩინიენე. ავტორები: რიმანტას ასტრაუსკას, გაილა კირდიენე, დალია ურბნავიჩიენე, სკირმანტე ვალიულიტე, ევალდას ვიჩინას, დაივა ვიჩინიენე და ვარსა ზაკარიენე)

2002 – მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საჯარო აქტივობისთვის ეთნიკური კულტურის სფეროში

დაივა ვიჩინიენე არის 6 წიგნისა და 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი, 14 აუდიო და ვიდეო დისკის შემდგენელი, სანოტო კრებულებისა და ლექსიკონების შემდგენელი და რედაქტორი. იგი არის, ასევე, მონაწილე მრავალი საერთაშორისო ეთნომუსიკოლოგიური კონფერენციისა და სიმპოზიუმისა (ბუდაპეშტი (უნგრეთი, ICTM, 2013); ტირანა (ალბანეთი, ICTM, 2012); ბელგრადი (სერბეთი, 2011); კალიარი (სარდინია, ICTM, 2010); თბილისი (საქართველი, 2004, 2006, 2008, 2010, 2014); შეფილდი (დიდი ბრიტანეთი,

CIM10, 2010); ტალინი (ესტონეთი, 2006; CIM07, 2007); ვენა (ავსტრია, 2008, 2013); დრუსკინინკაი (ESEM, 2002); ვილნიუსი (1999) და სხვ.)



ანსამბლი „ტრის კეტურიოზე“

### საქართველო

საქართველოს მიმართ ჩემი სიყვარული დაიწყო 1984 წელს, ლიტვის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის დროს. იმ წლის გაზაფხულზე მაღალი აკადემიური მოსწრების გამო ჩემი ჯგუფი დააჯილდოვეს მოგზაურობით თბილისში. როგორც საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის „skamba skamba kankliai“ ერთ-ერთ ორგანიზატორს, მთხოვეს, გამეგო, არსებობდა თუ არა თბილისში ანსამბლი, რომლის მიწვევაც ღირდა ლიტვის ფოლკლორულ ფესტივალზე. იმ დროს მე გავიცანი ქართველი ეთნომუსიკოლოგი ედიშერ გარაყანიძე, რომელმაც მე და ჩემი თანაკურსელები დაგვპატიჟა თავის სახლში ანსამბლ „მთიების“ გასაცნობად (მაშინ ანსამბლის წევრი 12 ახალგაზრდა მამაკაცი იყო, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები), რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. ჩვენ მოგვაჯადოვა „მთიების“ არაჩვეულებრივმა შესრულებამ ბუნებრივ გარემოში – ქართულ ტრადიციულ სუფრასთან... მანამდე მე მოსმენილი მქონდა მხოლოდ ქართველების დახვეწილი საგუნდო შესრულება... ჩვენ გათენებამდე ვმღეროდით და ვქეიფობდით, ედიშერის შვილებს (მარიკას და გიგის) ტკბილად ეძინათ მრავალხმიანი სიმღერების ფონზე – იმავე ოთახში ჭურჭლის კარადის უკან, მყუდრო სივრცეში...

იმავე წელს ჩემი მოწვევით „მთიებმა“ მონაწილეობა მიიღო ვილნიუსის ფოლკლორულ ფესტივალში. ლიტველებმა შეიყვარეს ქართველები – მათი სიმღერის მოსასმენად ძველ ქალაქში უამრავი ხალხი იყრიდა თავს. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ, ფესტივალის წესების საწინააღმდეგოდ (ყოველწლიურად სხვადასხვა სტუმრის დაპატიჟება), ანსამბლი მომდევნო წელსაც მიიწვიეს ლიტვაში. ფოლკლორული ანსამბლი „მთიები“ 2011 წელსაც მონაწილეობდა ფესტივალში „skamba skamba kankliai“, თუმცა, ედიშერის გარეშე.

საქართველოში ყოფნის დროს გავიგე, რომ 1986 წელს ედიშერის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაარსდა ქალთა ანსამბლი „მზეთამზე“, რომლის წევრებიც ეთნომუსიკოლოგები არიან. 1990 წელს ისინი დაკავშირებულნი ვილნიუსში ფესტივალზე „skamba skamba kankliai“. მაშინ ლიტველმა მსმენელმა პირველად მოუსმინა ქართველ ქალებს, რომლებმაც შეასრულეს გამორჩეული შრომის სიმღერები, იავნანები და დატირებები. 2005 წელს ანსამბლმა „ახალი მთიები“ ედიშერის ვაჟის – გიგის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო ვილნიუსის ფოლკლორულ ფესტივალში, სადაც ავთენტური სასიმღერო ტრადიციები წარმოაჩინა.

საქართველოში ჩატარებულ კონფერენციებში ვმონაწილეობ 1986 წლიდან (ბორჯომის კონფერენცია). მონაწილეობა მივიღე კონფერენციებში 1988 და 1990 წლებში, 2004 წლიდან კი რეგულარულად ვმონაწილეობ თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებში. სხვათა შორის, საქართველოსთან მე-20 საუკუნის ბოლოს შეწყვეტილი ურთიერთობის განახლებისა და მრავალხმიანობის სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღების მიზნით, დავიწყე ინგლისური ენის შესწავლა. 2004 წლის სიმპოზიუმზე მოხსენება ინგლისურად წავიკითხე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავალი წელია დავდივარ, ჩემს თავს მაინც მივიჩნევ ქართული მრავალხმიანი სიმღერის მოყვარულ ადამიანად და არა სპეციალისტად ან მკვლევრად (ქართული მრავალხმიანი სიმღერა სპეციფიური და ლიტვური მრავალხმიანი სიმღერისგან საკმაოდ განსხვავებულია). მაგრამ, სიმპოზიუმის კონცერტებში მუდმივად მონაწილეობისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოგზაურო-

ბის წყალობით, შემიძლია განვასხვაო კახური სიმღერები გურული, სვანური ან აჭარული ნიმუშებისგან.

მადლობელი ვარ ჩემი ქართველი მეგობრებისა და კოლეგების, რომ მომცეს მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებში მონაწილეობის საშუალება. აქ შევხვდი ტრადიციული მრავალხმიანობის ყველაზე ცნობილ მკვლევრებს მთელი მსოფლიოდან, გავეცანი უჩვეულო კვლევის ობიექტებსა და მათი ანალიზის თანამედროვე მეთოდებს, შევიტყვე მუსიკოლოგების მიერ წლების მანძილზე „მონოფონიურად“ მიჩნეულ, ტრადიციულ მუსიკალურ კულტურებში მრავალხმიანობის ახლად აღმოჩენილი „წყაროების“ შესახებ (ტაივანური, ავღანური და სხვა). ყოველივე ეს მკვლევარს აძლევს სტიმულს, ჩაატაროს ინტენსიური შედარებითი, ისტორიული და ტიპოლოგიური ეთნოგენეტიკური კვლევა [მაგ.: ჩემი მოხსენება ლიტვური სუტარტინესისა და აინების (იაპონიის აბორიგენი მოსახლეობის) მუსიკის შესახებ].

მიმაჩნია, რომ თბილისის სიმპოზიუმების შემდეგ გაჩენილმა იდეებმა ბიძგი მომცა სამეცნიერო კვლევისთვის. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნის ბურდონული სიმღერის შესახებ მრავალმა მოხსენებამ შთამაგონა, დამეწყო ამ მოვლენის კვალის ძებნა ლიტვურ მრავალხმიან სიმღერაში – ამ თემას მივუძღვენი რამდენიმე მოხსენება და სამეცნიერო სტატია. სიამოვნებით მიხდა აღვნიშნო, რომ ჩემს მიერ ლიტვურ სიმღერაში იდენტიფიცირებული ბურდონის კვალმა, თავის მხრივ, დასაბამი მისცა ქართველ ეთნომუსიკოლოგს, იოსებ ჟორდანიას არაერთი მოვლენის ახლებური გაგებისა და ინტერპრეტაციისა. მის წიგნში „*ვინ დასვა პირველი კითხვა*“ დიდი ადგილი ეთმობა ლიტვურ „ტრადიციულ“ და „კოლექტიურ“ სუტარტინესს. ავტორი აცხადებს, რომ ეს უკანასკნელი უფრო ადრეულია, ვიდრე სეკუნდებზე აგებული ლიტვური მრავალხმიანობა.

გულწრფელად მიხარია, რომ შევძელი ლიტვური სუტარტინესი გამეცნო სიმპოზიუმის მონაწილეებისთვის, როგორც ჩემი მოხსენებით, ისე მისი ცოცხალი შესრულებით. 2010 წელს სუტარტინესის შემსრულებელმა ჯგუფმა „ტრის კეტურიოხე“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მონაწილეობა მიიღო სიმპოზიუმში; გამოვიდა თბილისის სახელმწიფო



კონსერვატორიის მცირე და დიდი დარბაზების სცენაზე.

ჩემი აზრით, ეთნომუსიკოლოგისთვის უმნიშვნელოვანესია, იყოს არა მარტო „სავარძლის“ მეცნიერი, შეიმუშავოს ახალი თეორიები და ეპიოს კვლევის თანამედროვე მეთოდები, არამედ თავიდან ბოლომდე დეტალურად იცნობდეს საკვლევ თემას – სიმღერის ტრადიციას.

მე დიდ ყურადღებას ვაქცევ ლიტვური მრავალხმიანი სიმღერის კვლევასა და ამ ცოცხალ ტრადიციაზე ზრუნვას. ამიტომ, განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ იმით, რომ მრავალხმიანი სიმღერა პრესტიჟულ სტატუსს იძენს საქართველოში – ანუ, ამაყობენ მრავალხმიანი სიმღერით, ზრუნავენ მასზე და იკვლევენ სხვადასხვა კუთხით.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს როგორც კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული საზეიმო კონცერტები, ისე არაფორმალურ ატმოსფეროში – ქართულ ტრადიციულ სუფრასთან ბუნებრივად ნამღერი. კონფერენციის მონაწილეები ყოველ ჯერზე სხვადასხვა ადგილებს სტუმრობენ, რაც ასევე კარგი საშუალებაა ქართული კულტურის თავისებურებების გასაცნობად და ამ არაჩვეულებრივი ქვეყნის შესაყვარებლად.

დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენეს სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობის უკეთეს გასაცნობად გთავაზობთ ინტერნეტ-ბმულებს:

<https://www.mdw.ac.at/ive/emm/?PageId=55>

<http://www.etno.lt/kopija/index.php/lt/vilniaus-folk-loro-ansambliai/247?sectionid=0>

## ქართული სიმღერის მოამბეები

### ოთარ ბერძენიშვილი (1928-2015)



ოთარ ბერძენიშვილი

*სულ რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა ცნობილი გურული მომღერალი და ლოტბარი, გურული ბანის უბადლო შემსრულებელი და დიდი იმპროვიზატორი ოთარ ბერძენიშვილი. სწორედ მას მივუძღვენით რუბრიკა „ქართული სიმღერის მოამბეები“, რომელიც ზუსტად ასახავს ოთარ ბერძენიშვილის ღვაწლს ქართული ფოლკლორის შენახვა-გავრცელების საქმეში.*

„ბიჭო, ოთარ! ქართული სიმღერის აღვირი გიჭირავს ხელში და გაუფრთხილდი. არ გაამაყდე, ღმერთმა მოგანიჭა ეს ნიჭი და ათვისების უნარი. იცოდე, მარტო შენ არ გეკუთვნის, მთელი საქართველოსია. სანამ იმ ქვეყნად წახვიდოდე, ყველაფერი აქ, ხალხში უნდა დატოვო“... მამის ანდერძი გალექსილი ფიცით, – „შენს სიმღერებს რომ არ ვიტყვი, მაშინ მქონდეს დასასრულიო“ – დაადასტურა შვილმა და „თავისებურად“ გააგრძელა მამისაგან ბარაქიანად გაწაღებული სავალი.

„მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“ – ბიბლიური ჭეშმარიტებაა. ესეც უთუოა: „ვინც შეგირდი არ ყოფილა, ის ვერასოდეს გახდება ოსტატი“, თუნდაც ღმერთმა წყალობით გადმოგხედოს და ლადიმე ბერძენიშვილის შვილობა გარგუნოს. ნანას აკვანში დედა – ნინო ჩხიკვაძე – უმღეროდა, დიდებული მომღერალი და მეჩონგურე. ხუთი წლის ოთარს



მამამ დააწყებინა სიმღერა. ცამეტი წლისამ კი დიდი გამოცდა ჩააბარა, სიცოცხლის ბოლომდე დაუვიწყარი: „ჩვენ მშვიდობა“ და „კალოს ხელხვაი“ ვარლამ სიმონიშვილსა და ვლადიმერ ბერძენიშვილთან თქვა. სიმღერებში გაიზარდა და დავაჟუცდა, სულ სიმღერა ესმოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მომღერლები თბილისის ვაგზალთან ლადიმეს ოჯახში იყრიდნენ თავს. იმ მომღერლებს იცნობდა, იმათ უსმენდა, ვის ნაფხურებს, სიმღერებს, ჩანაწერებს სანთლით ღვეპებზე დღეს...

თბილისის ცენტრალური სამუსიკო ათწლეულის დამთავრებისთანავე გულმა კონსერვატორიისაკენ გაუწია და... 1956 წლის 9 მარტი. სტუდენტთა ერთ-ერთი ლიდერი ტყვიას კი გადაურჩა, მაგრამ სამი წლით თბილისს განერიდა, ოცდახუთწლიან პატიმრობას ან დახვრეტას რომ გადარჩენოდა. „მრისხანე უამმა“ გადაიარა (კონსერვატორია ვერ დაამთავრა) და კვლავ სისხლხორცეული საქმე: ტრიო, ჯგუფები, ანსამბლები, გუნდები, დაუშრომელი პედაგოგიური საქმიანობა, უშურველი კონსულტაციები, რაიონებში მუშაობა, მამასავით სიმღერების „გამშვენება“, ჩანაწერები... პირველი ჩანაწერი თორმეტი წლისამ ჩოხატაურის ანსამბლთან გააკეთა.

ორმოცდაათამდე ჯგუფსა და ანსამბლთან უმუშავია, ნახევარი მსოფლიო მოუვლია, ჯილდოც ბევრი დაუმსახურებია (კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ლენინისა და ღირსების ორდენოსანი, ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი), მაგრამ ყველაზე მთავარი: „თავისი საქმისთვის არასოდეს უდალატია“, უმადური არავინ ჰყოლია, ჭეშმარიტად სახალხო მომღერალი და ლობჯინაძის გახლდათ.

მამასავით ხავერდოვანი ხმის ტემპრით, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბანი იყო საქართველოში, სიცოცხლეშივე თანამედროვეთა, შეგირდთა და მეგობართა მიერ ქართული სიმღერის მამად და პატრიარქად აღიარებული, ერთსა და იმავე სიმღერას ერთნაირად ვერასოდეს ამბობდა, უძველეს ჩანაწერებსაც რაღაცას უმატებდა, რაღაცას ცვლიდა, თუმცა ლიბოსა და ბალავერს მყარად, უცვლელად ტოვებდა. ის ამას თავის მოვალეობად, ქართული სიმღერის წინაშე ვალის მოხდად, მამის ანდერძის აღსრულებადაც და მრავალი წლის შემდეგ, თავისსავე დასაწერ და აღსასრულებელ ანდერძადაც მიიხნევდა: „ქართულ

სიმღერას ვერაფერს გაუტოლებ, ის მსოფლიო სასწაულია, სასწაულმოქმედი, პიროვნების ზნეობისა და სულიერების მასაზრობელი. ვერავითარი განათლება ვერ ასწავლის ადამიანს კაცთმოყვარეობას, კეთილშობილებას, პატრიოტიზმს, დედაშვილობას, მიმტევებლობასა და სიყვარულს. ეს ძალუძს მხოლოდ ხალხურ სიმღერას“...

**ბაია ასიეშვილი,**  
*ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მთავარი რედაქტორი*

*გთავაზობთ ამონარიდებს რამდენიმე ინტერვიუდან, რომლებიც ბატონი ოთარის სიცოცხლეში ჩაიწერა ქეთევან კუკულავამ:*

\* \* \*

„მე ბევრი რამ ვიცოდი ბერძენიშვილების გვარის დიდ ღვაწლზე ქართული ხალხური სიმღერის შენახვისა და განვითარების საქმეში, მაგრამ როცა ბატონ ოთარს პირველად მოვუსმინე კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ ფოლკლორულ კონცერტზე, განსაკუთრებული გრძობა დამეუფლა: სცენაზე იდგა კაცი, რომელიც ფლობდა სიმღერის საიდუმლოსა და იმპროვიზაციის განსაცვიფრებელ უნარს, შესანიშნავად გრძობდა პარტნიორს და, ყველაფერთან ერთად, ღვთით მომადლებული ჰქონდა ხმის არაჩვეულებრივი ტემბრი. დღეს საქართველოში მრავალი ფოლკლორული ანსამბლია, ახალგაზრდები მშვენივრად მღერიან, მაგრამ ის ბუნებრიობა, რომელიც ბატონი ოთარის სიმღერის მანერას გამოარჩევს, მხოლოდ დიდოსტატებს ახასიათებს – მათ, ვინც მღერას ლაპარაკთან ერთად, თავისთავად სწავლობს და ვისთვისაც ადამიანებთან სიმღერით ურთიერთობა ცხოვრების წესია“.

**რუსუდან წურწუშია,**  
*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი, ტმკსც-ის დირექტორი*

\* \* \*

„ოთარ ბერძენიშვილი თავისი პიროვნული თვისებებითა და მოღვაწეობით ერთ-ერთი ანთებული სანთელია, ვინც ჩვენს ყოფას ნათელს ჰფენს. მის პიროვნებაში თავმოყრილია ქართველი კაცის საუკეთესო თვისებები: თავმდაბლობა, სიწრფელე, პატიოსნება, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება... ბატონი ოთარი სულით ხორცამდე ქართველი, უადრესად მოსიყვარულე და ტკბილმოუბარი, მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი, შესანიშნავი, ღრმად ეროვნული ლექსების ავტორია. როგორც შემსრულებელი, ის სწვდება გურული ხალხური პოლიფონიური აზროვნების სიღრმეებს და მწვერვალებს იპყრობს. მე და ჩემმა მეგობრებმა მისგან ბევრი სიმღერა შევისწავლეთ, რისთვისაც ძალზე ვუმაღლით მას“.

**მალხაზ ერქვანიძე,**

*დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი,  
ლოტბარი, მგალობელ-მომღერალი*

\* \* \*

„გურულ სასიმღერო ხმათა ურთიერთდამოკიდებულებაში ერთი განსაკუთრებული თვისება მანცვიფრებდა ყმაწვილკაცობიდანვე: ერთი შეხედვით (და არა მოსმენით, ვინაიდან უკეთეს ვერას მოისმენთ) მოსისხლე მტრები გეგონებათ ბანი და კრიმანჭული; რომ არა მათ შორის „გაწოლილი“ მთქმელი, ისინი ჯიბრით ატეხილი „კინკლაობით“, შემდეგ „ჩხუბით“ და „აყალ-მაყალით“, „ცხვირ-პირს დაამტვრევდნენ“, ალბათ, ერთმანეთს! ეს დალოცვილი კი თითქოს აწონასწორებს და თან საოცარ ჰარმონიას ქმნის ამ „გიჟ და გადარეულ“ პოლიფონიურ მორეკში...“

1969 წლის შემოდგომაზე საქართველოს კულტურის დღეებზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გახლდით. პირველსავე სადამოს რესტორანში შევიკრიბეთ და ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი ღხინი აღვაველინეთ. სუფრას დიდი სერგო ზაქარიძე უძღვებოდა. ეშხში შესულმა ოთარ ბერძენიშვილმა, ბადრი თოიძემ და თქვენმა მონამორჩილმა გურულ „ალიფაშას“ შეგებდეთ. თავიდან შეპარვით დავიწყეთ, თითქოს ვზევრავედით ერთმანეთს, ვინაიდან ამ შემაღგუნლობით ერთად არასდროს გვემღერა. თანდათან გავთამამდით, მიუხე-მოუხვიეთ, შევუტიეთ და... ბადრიმ თვალეებით ოთარზე მანიშნა – იგი საოცრებებს ახდენდა, კრიმანჭულის მთქმელს მეჯიბრებოდა სისხარტესა და იმპროვიზაციაში!.. გადაძახილი სულ ცოტა ათჯერ მოვაბრუნეთ და ოთარი ყველა მუხლში განსაკუთრებული სვლებით, ჭრელი ჩუქურთმებითა და ულამაზესი ტემბრის ობერტონებით დატვირთულ ჯერ ართქმულ ურთულეს ვარიანტებს გეთავაზობდა... ბადრის დაავიწყდა, რომ ჩვენ შორის „მომრიგებელ-გამშველბელი“ იყო, – მასე არ უნდაო და – მანაც გაუტია!.. უცებ ბატონი სერგოს ხმამ გამოგვაფხიზლა: – რა ხდება, ხალხო, ეს?! ვინ ხართ, საიდან მოდიხართ და საით მიდიხართო! ეს კაცი კი არანორმალურია და მართლაც გადამრევსო!.. – ამის თქმა იყო და ოთარი გულში ჩაიკრა, შემდეგ ჩვენც გადაგვეხვია და ქართული სიმღერის სადიდებელი აღავლინა. ამ დღის შემდეგ დაიწყო ჩემი და ბატონი ოთარის მეგობრობა.

ოთარ ბერძენიშვილი დღეს ხალხურ სიმღერის ერთ-ერთი მეტრი და დიდი მანსტროა: თბილისში თითქმის არ არსებობს ახალგაზრდული ანსამბლი, რომელსაც მისი მაღლიანი ხელი არ შეხებოდეს“.

*პროფ. გომარ სინარულიძე  
კომპოზიტორი, მომღერალი*

## გელა გუგავას გახსენება



გელა გუგავა

რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა სვანური სიმღერის ნამდვილი მოამაგე, მომღერალი და ლოტბარი გელა გუგავა. ამ წერილით გვინდა, გავიხსენოთ მისი ღვაწლი ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურის სფეროში და მადლიერება გამოვხატოთ მის მიმართ.

როგორც ცნობილია, სვანებმა, ტრადიციული კულტურის ერთგულებით, განსაკუთრებით სუფთად შემოინახეს უძველესი მატერიალური თუ არამატერიალური კულტურის ნიმუშები, მათ შორის, სიმღერები და ფერხულები. ამ პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მე-20 საუკუნეში, მასობრივი გლობალიზაციის პირობებში, როცა საფრთხე დაემუქრა ტრადიციული კულტურების თვითმყოფადობას. მათი შენარჩუნება ცალკეულმა ადამიანებმა ცხოვრების უმთავრეს პრინციპად აქციეს და სწორედ ამის წაყვლილობით გადაურჩა დავიწყებას და ახალი სიცოცხლე შეიძინა არაერთმა მუსიკალურმა ნიმუშმა. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი გახლდათ გელა გუგავა, ლენტეხის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ლაგუშედას“ დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ლენტეხის კულტურის სახლის ხელმძღვანელი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე.

დაიბადა 1944 წელს, ლენტეხის რაიონის სოფელ ლასკადურაში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ალპინისტის სპეციალობით. სპორტის ამ სახეობაში მრავალი წარმატების მიუხედავად, გუგავათა მომღერალი გვარის ღირსეულმა წარმომადგენელმა მთელი ცხოვრება სვანური სიმღერების, ფერხულების, საგალობლებისა

და ცეკვების მოძიება-აღდგენას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას მიუძღვნა.

სვანეთში ამბობენ: გუგავებში ბავშვი რომ დაიბადება, ენის ამოდგამდგე მღერისო. გელაც მომღერლების გარემოცვაში გაიზარდა: ძმა, დები, ბიძები, ბიძაშვილები... სრულიად ახალგაზრდა, ლენტეხის სარაიონო ანსამბლის, „ლილეს“ სოლისტია (ხელმძღვანელი ჯოკია მეშველიანი). პარალელურად ხელმძღვანელობდა ლენტეხის რაიონის სხვადასხვა სკოლის გუნდებს. ამ პერიოდში „ლილე“ და ეს გუნდები არაერთხელ გახდნენ რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატები და ოქროს მედლების მფლობელები.


ჯოკია მეშველიანის გარდაცვალებისა და „ლილეს“ დაშლის შემდეგ, ხალხური სიმღერის მესვეურთა, მათ შორის, გელა გუგავას ძალისხმევით, ჩამოყალიბდა ანსამბლი „ლაგუშედა“. გელა გუგავა „ლაგუშედაშიც“ წამყვანი ხმა იყო, 1999 წლიდან კი თავად ხელმძღვანელობდა ამ ანსამბლს. 1994-2007 წლებში იგი ლენტეხის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე იყო, 2007 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – ლენტეხის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი.

გელა გუგავას შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო სვანური ფოლკლორის თითქმის დავიწყებას მიცემული უძველესი ნიმუშების მოძიება, მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა.

ქართული ხალხური შემოქმედების განვითარების, მისი პოპულარიზაციისა და რაიონის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისთვის გელა გუგავა 1998 წელს ღირსების მედლით დაჯილდოვდა. 2014 წლის დაჯილდოვების ტრადიციულ საღამოზე ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გელა გუგავას გადასცა საპატიო ჯილდო და სიგელი „სვანური სიმღერის მოამაგე“, ქართული ხალხური (სვანური) სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ გელა გუგავას მიერ აღზრდილი თაობები ერთგულად გააჰყვებიან მის ნაკვალევს და დავიწყებას არასოდეს მისცემენ სვანურ მუსიკალურ ფოლკლორს.





ანსამბლი „ჰაერი“ ჩეხეთის რესპუბლიკიდან



ანსამბლი „ჰაერი“

ძალიან დაგვამწუხრა შესანიშნავი მეცნიერისა და ჩვენი მეგობრის, რუსეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, დოქტორ მიხაილ ლობანოვის გარდაცვალება.

ჩვენ დიდად ვაფასებთ მის ღვაწლს ეთნომუსიკოლოგიაში. იგი თბილისის სიმპოზიუმების (2004, 2006, 2010, 2012) ხშირი სტუმარი და ერთ-ერთი იმათაგანი იყო, ვინც მსოფლიოს სხვა გამოჩენილ მკვლევართან ერთად მათ მაღალ სამეცნიერო დონეს განსაზღვრავდა.

ბატონ ლობანოვთან ჩვენ გვქონდა, როგორც სამეცნიერო, ისე პირადი ურთიერთობები. ჩვენი თხოვნით მან ბიულეტენისთვის ძალიან საინტერესო ნარკვევი მოამზადა ერნსტ ემსჰაიმერზე, როგორც კავკასიური და ქართული მუსიკის მოამაგეზე (ბიულეტენი №2, ივნისი, 2005. გვ. 24–28).

მიხაილ ლობანოვი დიდხანს დარჩება მისი ქართველი კოლეგებისა და მეგობრების სსონაში.

*თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ხაერთაშორისო ცენტრი*

„ჰაერი“ არის შერეული ვოკალური ჯგუფი პრაღიდან (ჩეხეთის რესპუბლიკა), რომელიც, თავდაპირველად, მრავალხმიანობისა და საქართველოს მოყვარულმა ადამიანებმა შექმნეს. მოგვიანებით მათ შეურთდნენ განსხვავებული მუსიკალური გამოცდილების მქონე მეგობრები, რომელთაც ქართული ტრადიციული მუსიკის მიმართ ინტერესი აერთიანებდათ და მისი არაფორმალური შესრულება სიამოვნებდათ. 2014 წლიდან ჯგუფი შედგება 12 მოყვარული მუსიკოსისაგან, რომლებიც წარმოშობით ჩეხეთის რესპუბლიკიდან, ბრაზილიისა და საფრანგეთის სხვადასხვა კუთხიდან არიან.

ანსამბლის რეპერტუარი შედგება პოპულარული სიმღერებისა და საგალობლებისგან. ჯგუფის წევრები სიამოვნებით ასრულებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის გამორჩეულ ნიმუშებს: მეგრულ, კახურ, აფხაზურ, სვანურ, აჭარულ და რაჭულ სიმღერებს. ჯერ-ჯერობით, „ჰაერი“ მხოლოდ ჩეხეთის რესპუბლიკაში გამოდის კონცერტებზე, მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალებში, ასევე, ჩეხეთის ქართული სათვისტომოს მიერ ორგანიზებულ მუსიკალურ ღონისძიებებში. მომდევნოები დროდადრო დედაქალაქის ქუჩებში გადიან და სიმღერ-

ით მიღებულ სიამოვნებას გამვლელებსაც უზიარებენ.



ჯგუფი „ჰაერის“ ერთ-ერთი კონცერტი

„ჰაერის“ ისტორიაში გადამწყვეტი როლი ითამაშა 2015 წლის მარტში ჯგუფის მოგზაურობამ საქართველოში – ეს იყო მისი წევრების უმრავლესობის პირველი ჩამოსვლა ამ ქვეყანაში. მაშინ კოლექტივს პირველად მიეცა ცნობილ ქართველ ლოტბარებთან და ანსამბლებთან შეხვედრისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, ისინი დაესწრნენ მასტერკლასებსაც და შეისწავლეს ახალი სიმღერები. მათ მასპინძლობა გაუწიეს და ქართული ტრადიციები გააცნეს ქართველმა მეგობრებმა ანსამბლ „დიდგორიდან“,

რომელთაც პირველად 2014 წლის ოქტომბერში პრატაში შეხვდნენ დაუვიწყარ სადამოხე მათი კონცერტის შემდეგ.

ამ ვიზიტმა ყველას გაუღვივა საქართველოსთან, მის კულტურასთან, ღირსშესანიშნაობებთან და ხალხთან ურთიერთობის გაღრმავების სურვილი. „ერისიონთან“ ერთად „ჰაერმა“ მონაწილეობა მიიღო ცნობილი ჩეხი საოპერო მომღერლისა და პირველი ქართული გუნდის ქორმაისტერის, საქართველოში რატილის სახელით ცნობილ იოსიფ ნავრატის (1840–1912) 175 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში თბილისში, ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოში.


2015 წლის ივნისში „ჰაერი“ მონაწილეობდა 70-ე საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში „Strážnice 2015“. ეს არის ხალხური მუსიკის ყველაზე დიდი ფესტივალი ევროპაში, რომელიც 1946 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს იმართება ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სტრაჟნიცეში. აქ ჯგუფს გადაეცა პრიზი „განსაკუთრებული შესრულებისთვის“.

საქართველოსა და მისი მდიდარი მუსიკალური ტრადიციების შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით „ჰაერი“ გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას 2016 წლის ზაფხულში და „არტგენის“ ფესტივალში მონაწილეობის მიღებას.

ერთი უცხოური ტრადიციული ანსამბლი

„ფელუკა“

თურქული ტრადიციული ხალხური მუსიკის ანსამბლი „ფელუკა“ დაარსდა სტამბულში აბდულა აკატის მიერ. მისი შექმნის მიზანი იყო თურქეთის აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რეგიონის უნიკალური მუსიკალური სტილის შესრულება. ანსამბლის წევრები არიან: აბდულა აკატი (წამყვანი ხმა და ვიოლინო), ემრე აკსოი (ქამანჩა), სემიჰ ბურჩუ (ბას გიტარა), ტანერ კესერი (დოლები), შულეიმან არსლანი (ელექტრო გიტარა), გიოხან ალტინბაში (ბექ ვოკალი), მაჰმუტ თირანი (თულუმი), ფერჰან ფელიკი (დასარტყამები). „ფელუკა“ ძირითადად ასრულებს ტრადიციულ სიმღერებსა და აბდულა აკატის ახალ კომპოზიციებს. 2006 წლიდან კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო თურქეთსა და სხვა ქვეყნებში ჩატარებულ რამდენიმე ფესტივალსა და პრესტიჟულ კონცერტში.



ანსამბლ „ფელუკას“ I კომპაქტ-დისკი

კოლექტივი ცნობილია თავისი კომპოზიციებით, რომლებშიც ქამანჩა და თულუმი გაერთიანებულია დასავლურ საკრავებთან, ასევე, ტრადიციული სიმღერებისა და თანამედროვე მუსიკის თავისებურებათა სინთეზით. მის პირველივე აუდიო ალბომში „მოგზაურობა ოკეანეებში“ შესულია შავიზღვისპირეთის მრავალფეროვანი ტრადიციული მუსიკა, ასევე, ქამანჩაზე, თულუმზე, გარმონზე, ტამბურსა და ქანუნზე შესრულებული როკის, ფანკისა და თურქული კლასიკური მუსიკის ნიმუშები.

ჯგუფის სახელწოდება „ფელუკა“ ლაზურ ენაზე სათევზაო ნაეს ნიშნავს. თევზაობა შავი ზღვის რეგიონის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კულტურული ნაწილია. ამიტომ, ამ რეგიონის ბევრი ხელოვანი თავის შემოქმედებაში მას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. სწორედ ამიტომ, ჯგუფმა პირველ ალბომში შეიტანა სიმღერა „Şaşaklar“, რომელიც ასახავს მეთევზის ცხოვრების ერთ დღეს. 2014 წელს „ფელუკამ“ გამოსცა მეორე ალბომი სინგლის სახით სახელწოდებით „იცურე, ჩემო ფელუკა“. სიმღერა მოგვითხრობს მეთევზის სიყვარულზე, ემოციებსა და გრძნობებზე თავისი შეყვარებულის მიმართ.

„ფელუკა“ შეიქმნა არამარტო თურქული მუსიკის წარმოსაჩენად, არამედ იმ პროექტის განსახორციელებლად, რომელიც უმთავრეს ამოცანად რეგიონის კულტურული ღირებულებების გადარჩენას ისახავს. ამ მიზნით, აბდულა აკატმა მრავალი ექსპედიცია ჩაატარა; მაგალითად, პირველ ალბომში შესული სიმღერა „Mekbule Muzeyyen“ აბდულამ იპოვა და პირველმა შეიტანა რეგიონის რეპერტუარში.



ანსამბლ „ფელუკას“ II კომპაქტ-დისკი

აღსანიშნავია, რომ „ფელუკას“ მიერ შესრულებული სიმღერების მუსიკალური სტრუქტურები სათავეს ქალაქური კულტურიდან იღებს. ტრაბზონის, ისევე, როგორც შავი ზღვისპირა რეგიონის სხვა კულტურები, ქალაქური კულტურიდან საზრდობს. „ფელუკა“ ცდილობს, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით, მას ხელმძღვანელობას უწევენ ტრაბზონში გაზრდილი ისეთი



ოსტატები, როგორებიც არიან: რაჰმი ბეი, ტამბური ფრანსიზ ალი, ტემელ შუკრუ და აჰმეტ სელიმ ტეიმური.

ამჟამად, კოლექტივი მუშაობს შავი ზღვისპირეთის მოსაზღვრე ქვეყნების მუსიკალურ კულტურაზე თავისი რეპერტუარის სხვა ქვეყნების მუსიკალური ნიმუშებით გამდიდრების მიზნით.

### აბდულა აკატი

*ყარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტისა და ტრაბზონის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკოლოგიის კათედრის გამგე*

## ერთი ახალი ფოლკლორული ანსამბლი

### ადილეი

ქართული ფოლკლორის დაცვისა და პოპულარიზაციისთვის აუცილებელია ახალგაზრდა თაობის აქტიურობა. ამიტომ ყოველთვის სასიხარულოა ახალი შემოქმედებითი ჯგუფის შექმნა, მით უფრო, თუ ის ორიენტირებულია ფოლკლორის ავთენტურ შესრულებაზე. სწორედ ასეთი ჯგუფია მგალობელ-მომღერალთა გუნდი „ადილეი“, რომელმაც პირველივე გამოსვლისთანავე მიიპყრო მსმენელის განსაკუთრებული ყურადღება. სულ ცოტა ხნის წინ მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფოლკლორული მუსიკის დათვალიერება-ფესტივალში, სადაც ჟიურის განსაკუთრებული შეფასება დაიმსახურა ცნობილი სიმღერების საკუთარი, მეტად საინტერესო ინტერპრეტაციით შესრულებისთვის. ვთავაზობთ ინტერვიუს გუნდის ხელმძღვანელთან, დემეტრე ქირიასთან.

**მ.ხ.** – მოგვიყევით თქვენი გუნდის შესახებ: როდის ჩამოყალიბდა, ვინ არიან მისი წევრები და ა.შ.

**დ.ქ.** – მგალობელ-მომღერალთა გუნდი „ადილეი“ 2012 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა. დებიუტი 2014 წლის გაზაფხულზე გვექონდა (მანანა შილაკაძის ხსოვნის საღამოზე, საკრავების მუზეუმში). გუნდი ამჟამად 10 წევ-

რისგან შედგება: გიორგი ხუხუნაიშვილი, კოტე ჩავლეიშვილი, ლევან ბითაროვი, ლაშა ბედენაშვილი, სანდრო ნათაძე, ნოდარ ჯაფარიძე, ილია ჯღარკავა, ბექა ბუჩუკური, თემურ დარჩია, დემეტრე ქირია. წევრების უმეტესობა მანამდეც იცნობდა ერთმანეთს, მეგობრობდნენ და სადაც მოუხერხდებოდათ, მღეროდნენ კიდეც ერთად. ამიტომ, გადაწყვიტეს, ურთიერთობისთვის უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეცათ, რამაც განაპირობა გუნდის შექმნა.



მგალობელ-მომღერალთა გუნდი „ადილეი“

**მ.ხ.** – რატომ აირჩიეთ სახელად „ადილეი“?  
**დ.ქ.** – სახელად „ადილეი“ რამდენიმე ფაქტორის გამო ავირჩიეთ: ეს არის დასავლურ-ქართული სიმღერებისთვის დამახასიათებელი სამღერისი და ზუსტად ესადაგება ჩვენს რეპერტუარს, რომელიც უმთავრესად დასავლურ-ქართული სიმღერებისგან შედგება. გარდა ამისა, სიმღერა „ადილეი“ (რომელიც ძალიან მოგეწონდა) არის მგზავრული, რომელიც ასოცირდება მოძრაობასთან და წინსწრაფვასთან.

**მ.ხ.** – ძალიან მიხარია, რომ თბილისში თითქმის ყოველწლიურად იქმნება ახალი ახალგაზრდული ანსამბლი; რა იყო თქვენი მოტივაცია?

**დ.ქ.** – როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი შეკრების მთავარი მიზანი იყო ერთად მღერა, განსაკუთრებით – გურული სიმღერებისა. თუმცა, მალე მივხვდით, რომ საგანგებოდ შეკრებისა და ხშირი რეპეტიციების გარეშე საქმე არ გამოვიდოდა, ამიტომ, გადავწყვიტეთ გუნდად ჩამოყალიბება. ამასთან ერთად, ჩვენი დიდი სურვილია, პოპულარიზაცია გაავწიოთ ნამდვილ ფოლკლორს, რადგან, სამწუხაროდ, მისი ცნობადობა ფართო საზოგადოებაში დაბალია. ვცდილობთ, ის სიხარული და სილაღე, რაც ქართულ სიმღერებშია, გავუ-

ზიაროთ მსმენელს – სცენაზე იქნება, სუფრაზე, ქუჩაში თუ სხვაგან.

**მ.ხ.** – რითი საზრდოობს თქვენი რეპერტუარი?

**დ.ქ.** – ჩვენი რეპერტუარის მთავარი წყაროა ძველი ჩანაწერები. ვცდილობთ, მოვირგოთ ეს სიმღერები, არ გავაკეთოთ უბრალო ასლი, შევქმნათ და ვიმღეროთ ჩვენ-ჩვენი ვარიანტები, რადგან, ჩვენი აზრით, ეს ახალ სიცოცხლეს აძლევს სიმღერასაც და ნამღერსაც. თუმცა, ამასთანავე, რეპერტუარში გვაქვს ისეთი სიმღერებიც, რომელსაც არ ვცვლით და თითქმის ზუსტად ისე ვმღერით, როგორც ჩანაწერშია.

**მ.ხ.** – საინტერესოა სიმღერების შესწავლის პროცესი.

**დ.ქ.** – სიმღერების სწავლებას რამდენიმე ადამიანი ხელმძღვანელობს, თუმცა პროცესში ყველა ჩართულია, გამოთქვამს აზრს და აზრთა შეჯერებით იმართება სიმღერა. ხანდახან, ეს პროცესი ცხარე კამათშიც გადადის, თუმცა, ეს ყველაფერი, ჩვენი აზრით, დადებითად აისახება შედეგზე.



„ადილეი“ ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმზე

**მ.ხ.** – რამდენად აქტიურად მონაწილეობთ საკონცერტო ცხოვრებაში? გასვლები თუ გქონიათ საქართველოს რეგიონებში ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ?

**დ.ქ.** – 2014 წლის შემდეგ აქტიურად ჩავებით საკონცერტო მოღვაწეობაში, მონაწილეობა მივიღეთ ბევრ სხვადასხვა ღონისძიებაში. აღსანიშნავია კონცერტები რუსთავის მე-5 ქალთა დაწესებულებაში, ბარში „ზოესთან“, გამოსვლა ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმზე, მონაწილეობა საქართველოს ფოლკლორის დათვალიერება-ფესტივალში. ასევე, მესამე წელია არაფორმალურ კონცერტებს ვატარებთ ბახმაროში, რამაც დიდი როლი ითამაშა ჩვენს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ვიმედოვნებთ, მომავალში იქ უფრო მასშტაბურ ღონისძიებებს მოვაწყოთ.

**მ.ხ.** – რას გეგმავთ სამომავლოდ?

**დ.ქ.** – ჩვენს უახლოეს გეგმებში შედის კომპაქტ-დისკის გამოცემა და სოლო კონცერტის ჩატარება, ასევე გასტროლები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, მთელ გუნდს აქვს დიდი სურვილი ერთ ტაძარში დადგომისა და გალობისა.

**მ.ხ.** – ჩვენი ცენტრის სახელით დიდ წარმატებებს გისურვებთ!..

*ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარბიანმა*

ტმკსც-ს ექსპედიცია ინეგოლის რაიონში (ბურსას პროვინცია, თურქეთი)

2015 წლის 3 აგვისტო. სტამბოლი

ბოსფორის სრუტეზე შეფენილ სტამბოლს ოქროსფერი გადაკრავს. აქ აღმოსავლეთი და დასავლეთი ისე ბუნებრივად კვეთს ერთმანეთს, როგორც სრუტეზე მობინადრე თოლია უერთდება ხან წყალს და ხან ზეცას.

ჩვენი თურქი კოლეგა – აბდულა აკატი ქალაქს გვათვალისწინებს. ქადიქოიში მივიღივართ, სადაც სტამბოლის ქართული კულტურის სახლში იბერია მელაშვილი-ოზქანი გველოდება. როგორც კი ამ სახლის ზღურბლს გადააბიჯებ, საქართველოში აღმოჩნდები. სტამბოლის ქართველობა აქ იყრის თავს, მშობლიური ენისა და სიმღერის შესასწავლად.

4 აგვისტო. ინეგოლი.

ჩვენს ექსპედიციას 4 წევრი ჰყავს. აბდულა აკატი – ტრაბზონის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც შავი ზღვის კულტურას უკვე წლებია იკვლევს; იბერია მელაშვილი-ოზქანი, აჰმედის შვილი და მისი ტრადიციების გამგრძელებელი; თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტმკსც-დან ნინო რაზმაძე და ბაია ჟუჟუნაძე ვართ. ეს ჩვენი ცენტრის პირველი ექსპედიციაა თურქეთში, თანაც თურქულ-ქართული.

ქალაქ ინეგოლის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ. თავად ინეგოლის რაიონში კი 21 ქართული სოფელია. ისინი მაჭახლიდან, ჩაქვიდან, შუახევიდან, ხულოდან და მესხეთიდან არიან გადმოსახლებული.

კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოებაში ჩვენთან შესახვედრად სამ თაობას მოუყრია თავი. სამშობლოდან ჩამოსულებს აქ განსაკუთრებული სიყვარულით ხვდებიან.



ქალაქ ინეგოლში

ვიწერთ აკორდეონზე (ადგილობრივები მას „მუზიყას“ უწოდებენ) შესრულებულ დასაკრავებს: ხორუმი, ყოლსამა, ყოლსამას გადაქცეული, აბაზურაი, ჩერქეზული და ა.შ.

ჭობონის დაკარგვას ძალიან დარდობენ. ამ საკრავზე დასაკრავებს აკორდეონის რეპერტუარში გადმოუნაცვლებია.

6 აგვისტო. ინეგოლი

გუშინ ინეგოლის სოფლები სულშივ და თუფეჩიქონაქ მოვიარეთ. თან სუათ აქთეჩინი-დიდაჭარელი (77 წლის) გვახლდა. ბატონი სუათი მთელს ინეგოლის რაიონში ცნობილია, როგორც ქართული ტრადიციების მცოდნე და შემნახველი. ახალგაზრდებს მისგან არა ერთი სიმღერა და დასაკრავი აქვთ ნასწავლი. სადამოს მის ბაღში მოიყარა თავი თითქმის ყველამ, ვისთვისაც ქართული ცეკვა და სიმღერა ყოველდღიურობის ნაწილია. მათ შორის ძალიან ბევრი ახალგაზრდაა. გვიმღერეს „დედოფლის სიმღერის“ ბანის პარტია. „მყივანს მხოლოდ ერთი და გამორჩეული მომღერალი ამბობდაო“, ამიტომ ეს ხმა ფრაგმენტულად ახსოვთ და მისი შესრულება ერთულებათ. ჩავიწერეთ „ნარდანიანა“, „ვინ მოგიტანა“, „თირნი ჰორერამა“, „თეთრო მამალო“. თავად უკმაყოფილებას გამოხატავდნენ სიმღერების დავიწყებისა და შეუმღერებლობის გამო, მაგრამ მრავალხმიანი აზროვნება ჯერ ისევ შემორჩენილია მათ ცნობიერებაში.

ჩაწერის შემდეგ ახალგაზრდებს პიტერ გოლდისა და აჰმედ მელაშვილის საარქივო ჩანაწერები მოვასმენინეთ. როდესაც მემკვიდრეებს თავიანთი წინაპრების ჩანაწერებს ასმენინებ, ეს მათზე ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს. მაგრამ, სამწუხაროდ ხშირად,



ისინი თავად აღარ არიან ამ ტრადიციის გამგრძელებლები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, პირიქით, 30 წლამდე ასაკის ბიჭებმა ყველა სიმღერა და დასაკრავი ამოიცნეს, ეს უძველესი რეპერტუარი მათთვის სამშობლოსთან ურთიერთობის საშუალებაა.

### 7 აგვისტო. სოფელი ჰაირიე

არასოდეს დამავიწყდება ის განცდა, როდესაც სოფელ ჰაირიეს მანიშნებელი ნიშანი გამოჩნდა. მანქანაში ექსპედიციის ყველა წევრი ახმაურდა. ერთმანეთს ჰაირიეში მოხვედრას ვულოცავთ. ამ სოფელზე რამდენი რამ გესმენია გურამ პატარაიას ფილმიდან, პიტერ გოლდის ჩანაწერებიდან. დღეს ჩვენც აქ ვართ! ეს ის ბედნიერი წამია, რომელიც მთელი ცხოვრება გვემახსოვრება.

ახალი ჰაირიე ევროპულ სოფელს ჰგავს, კოხტა სახლებითა და მოვლილი ეზო-კარებით. მანქანა სოფლის ცენტრში, ჩაიხანის წინ გავაჩერეთ. ბატონ იბერიას დედულეთში დიდი სიყვარულით ეგებებიან. „ჩვენებურები ხართ?“ ეს ერთი კითხვა მთელ სამშობლოს იტევს. აჰმედ მელაშვილისა და პიტერ გოლდის ჩანაწერების შემსრულებლების მემკვიდრეებთან მივდივართ. ამ ოჯახებში ისევ მდებარე. მათ ისე ცოცხლად ახსოვთ პიტერის 47 წლის წინანდელი სტუმრობა და ჩაწერის პროცესი. მაშინ ბავშვები და დღეს უკვე ბაბუები, ერთმანეთს ჩაწერის დეტალებს ახსენებენ.

ალი ოსმან გულტეკინის ოჯახის ქალბატონებმა „ნარდანი“ შეგვისრულეს ცეკვით. ვესილე ხინკილაძეც ვიპოვეთ, „დის დატირების“ შემსრულებელი. ქალბატონი ვესილე (73 წლის) პროფესიონალივით უდგება ჩაწერის პროცესს, არ გვახვეწინებს. ადრე ყველა ცოცხალი მყავდა და ჩემთვის ტირილის თქმა ასე რთული არ იყო, – კი გვეუბნება, მაგრამ მაინც გვაწერინებს რამდენიმე ვარიანტს. მერე საკუთარი ლექსები გამოაქვს, ახალგაზრდობაში პიესაც კი დაუწერია, რომელიც სოფლის თეატრში დაუდგამს.

### 11 აგვისტო. ჰაირიე

სამყაროში შემთხვევით რომ არაფერი ხდება, ამაში დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. შენოლ შენერი გუშინ სრულიად შემთხვევით გავიცანით, ინეგოლის ერთ-ერთ

ჩაიხანაში. სადამოს ჩაწერაზე მოვიდა, რამდენიმე სიმღერა გვიმღერა, ცოლის მიერ ქმრის დატირებაც შეგვისრულა. თავად შემოგვთავაზა ხვალ ჰაირიეში თუმერებთან წამოგვევითო.



სოფელ ჰაირიეში

ჰაირიეში ჩასვლის პირველივე დღიდან ვეძებთ „ვინ მოგიტანას“ შემსრულებელს. ჩანაწერის მოსმენისას ვერავინ გაიხსენა ის პატარა ბიჭი, არადა, მართლა დიდხანს ბჭობდნენ, უცილობლად ჩვენი თაობაა და ცოცხალი უნდა იყოსო.

მანქანა ისევ ჩაიხანის წინ გავაჩერეთ. ჩვენს ჩასვლას უკვე მთელი სოფელი ელოდებოდა ხოლმე. შენოლის დანახვაზე ბატონმა ბასრი ილდიმირმა წამოიძახა: „ჩვენ რომ ვეძებთ, აი ესაა ის ბიჭიო“. ინეგოლში მასაც მოვასმენინეთ ჩანაწერები, მაგრამ არ უთქვამს თავად რომ ასრულებდა ამ სიმღერას და არც „ვინ მოგიტანა“ უმღერია. დღეს რომ აქ არ წამოგვეყოლოდა, ამ სასიხარულო ამბავს ხომ ვერ გავიგებდით. სიმღერაც შეგვისრულა და შესრულების ფორმაზეც მოგვითხრო.

ბატონი შენოლი ჩვენი ექსპედიციის აღმოჩენაა!

### 14 აგვისტო. სტამბოლი

პირველი შემთხვევაა, როცა შინ ვბრუნდები და შთაბეჭდილებებთან ერთად, ნოსტალგიაც მომყვება თან. „სხვა საქართველო სად არის?“ აქაა, ამ ხალხში, მათ ქართულ მეტყველებაში, სიმღერასა და ცეკვაში. 145 წლის წინ წასულები, მშობლიური მიწის სიყვარულით ცხოვრობენ.

ერთ ადამიანს შეუძლია შეცვალოს ისტორია, შეაჩეროს წამი წარმავალი. რომ არა აჰმედ მელაშვილის წინდახედულობა, დღეს ეს სიმღერები ალბათ, აქ ასე ცოცხლად შემონახული აღარ დაგხვდებოდა.

ჩვენი პროფესიის ადამიანები „წარსულის მეარქივები“ ვართ. მთელი ცხოვრება ვეძებთ და ვაარქივებთ იმას, რაც გვგონია, რომ მომავალს ვეღარ გაყვება და დავიწყებას მიეცემა.

მაგრამ ინეგოლსა და ჰაირიეში ეს დრო ჯერ კიდევ შორსაა. აქ ისეთი ახალგაზრდა თაობა ჰყავთ, ვინც ამ წარსულის ფასი იცის და მის ერთ მტკაველსაც არ დაკარგავს დროის დინებაში.

**ბაია ჟუჟუნაძე**  
*ეთნომუსიკოლოგი*

## გიორგი სალუქვაძის სახელობის საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი და სახლ-მუზეუმის გახსნა გურიაში

წელს – 2015 წლის 6 ივლისს, ქ. ოზურგეთში ჩატარდა გიორგი სალუქვაძის სახელობის რიგით მე-6 საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი. ფესტივალი დაფუძნდა ქ. ოზურგეთში არსებული საზოგადოება „არტ-გურიისა“ და ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ ინიციატივით. მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა ანსამბლებმა, ასევე ბალტიისპირელმა და სომეხმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა. ფესტივალის ჟიურის წარმოდგენდნენ: საქართველოს სახალხო არტისტი ფრიდონ სულაბერიძე, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი უჩა დვალიშვილი, ანსამბლ „ბასიანის“ დირექტორი, მომღერალი ზურაბ წკრიალაშვილი და საქართველოს ფოლკლორის ცენტრის გურიის წარმომადგენლობის მუსიკალური მიმართულების კოორდინატორი, ეთნომუსიკოლოგი მაია გელაშვილი.

ფესტივალს წინ უძღოდა აღლუმი. ეროვნული ტანისამოსით შემოსილი მონაწილეები ესაღმებოდნენ ქალაქის ქუჩებში გა-

მოსულ მაყურებელს. ირგვლივ საზეიმო განწყობა სუფევდა. მსვლელობის მონაწილეებმა თეატრის შენობის წინ მოიყარეს თავი. საღამოს კი თეატრის შენობაშივე ჩატარდა შემსრულებელთა მოსმენა, შერჩევა და დაჯილდოება.

ახლა კი ორიოდ სიტყვით იმ ადამიანის შესახებ, რომლის სახელსაც ატარებს ეს ფესტივალი.

გიორგი სალუქვაძე პროფესიით ინჟინერი გახლდათ, თუმცა, პროფესიული საქმიანობის პარალელურად, თავისი შეგნებული ცხოვრება მან ქართულ ფოლკლორს – ხალხურ ქორეოგრაფიასა და სიმღერას მიუძღვნა. სწორედ ამის გამო, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს სახალხო არტისტის წოდებაც მიენიჭა.



გიორგი სალუქვაძე

1949-1962 წლებში გ. სალუქვაძე იყო ქ. მახარაძის (დღევანდელი ოზურგეთის) კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი. მან თავისი ცხოვრების მანძილზე არაერთი ცეკვა აღადგინა. მათ შორის: გურული ფერხული „ფარცა-კუკუ“, „კალმახობა“, „ფუნდრუკი“, ინგილოური ცეკვა „შიპრობა“, აჭარული „სეირი“ და „ხელტარის ნადი“, მესხური „მომიური“ და „დიდება“, მესხურ-ჯავახური „ვარძიობა“ და „იღუმალი“...

1968 წელს ქ. ოზურგეთში გ. სალუქვაძემ შექმნა ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების აღმდგენელი და შემს-

წავლელი ოთხწლიანი სკოლა და მის ბაზაზე ჩამოაყალიბა ანსამბლი „იადონი“, ადადგინა გურული მრავალღერძიანი სალამური – სონარი.

სწორედ გ. სალუქვაძის ინიციატივით დაიდა ქ. ოზურგეთში წმინდანად შერაცხული, ცნობილი მუსიკოსის, ქართული საგალობლების შემკრების, ფილიმონ ქორიძის ბიუსტი [ავტორები: მოქანდაკე ირაკლი რევაზიშვილი, არქიტექტორი გიორგი (გულდია) სალუქვაძე].

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი და დროული იყო გიორგი სალუქვაძის სახელ-მუზეუმის გახსნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ცხემლისხიდში, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თავად მუნიციპალიტეტის ინიციატივით, ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თანხმობით განხორციელდა 2015 წლის 7 ივლისს, ფესტივალის მეორე დღეს.

მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით, საპატიო სტუმრებმა გიორგი სალუქვაძის საფლავთან მოიყარეს თავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას, შემდეგ კი ფოლკლორის ცენტრის ოზურგეთის წარმომადგენლობის მოსწავლეებმა და ანსამბლებმა გურული ხალხური სიმღერები შეასრულეს.

გიორგი სალუქვაძის აღზრდილები დღეს ახალი თაობის სამსახურში დგანან. რაც შეეხება ფესტივალს, ის მომავალ წელს მეშვიდედ ჩატარდება კურორტ ურეკში.

**მაია გელაშვილი**  
*ეთნომუსიკოლოგი*

## *უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ* **ინტერვიუ ქეროლაინ ბითელთან**



**ქეროლაინ ბითელი**

*ჩვენი რუბრიკის სტუმარია ქეროლაინ ბითელი, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, ფილოსოფიის დოქტორი, მანჩესტერის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის უფროსი მასწავლებელი.*

**თ.ღ.** – თუ შეიძლება, მოგვიყვით თქვენსა და თქვენი სამეცნიერო ინტერესების შესახებ.  
**ქ.ბ.** – ამჟამად ვარ ეთნომუსიკოლოგიის უფროსი მასწავლებელი მანჩესტერის უნივერსიტეტში.

თავიდან ლინგვისტი ვიყავი, ოქსფორდში ენებს ვსწავლობდი. შემდეგ ვისწავლე ანთროპოლოგია და მოგვიანებით სადოქტორო დისერტაცია ეთნომუსიკოლოგიაში დავიცავი. დისერტაციისთვის ვიკვლევდი კორსიკულ ტრადიციულ მუსიკას. კორსიკაზე ბევრი ინტერვიუ ჩავიწერე ხალხური მუსიკის შემსრულებლებისგან. ისინი საუბრობდნენ იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ტრადიციას თანამედროვე მსოფლიოში და როგორ უნდა შევინარჩუნოთ ბალანსი საკუთარი ტრადიციის, მემკვიდრეობის ერთგულებასა და მის განახლებას, შენი საკუთარის – კრეატიულის დამატებას შორის; როგორ უნდა შევინარჩუნოთ ტრადიცია ასეთ პირობებში ცოცხლად, ისე რომ, ის კორსიკულად დარჩეს? ეს



ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო კორსიკაზე.

**თ.ლ.** – როგორ მოხდა თქვენი შეხვედრა ქართულ ხალხურ მუსიკასთან და რა იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება?

**ქ.ბ.** – ქართული მუსიკა პირველად 1980-იან წლებში მოვისმინე, როგორც მახსოვს, ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით და ძალიან მომეწონა. შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში კორსიკულ მუსიკაზე ვიყავი კონცენტრირებული, მაგრამ ქართული მუსიკა ყოველთვის არსებობდა უკანა პლანზე. როდესაც ედიშერ გარაყანიძემ დაიწყო დიდ ბრიტანეთში ჩამოსვლა (1994 წლიდან), მე ვესწრებოდი მის გაკვეთილებს უელსში შემსრულებლობის კვლევის ცენტრში. ფანტასტიკური იყო, რომ მეც შემეძლო მეძღვრა ის, რაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გონებაში მქონდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იმის აღმოჩენა იყო, რომ არსებობდა ამდენი სხვადასხვა რეგიონული სტილი და, ვცდილობდი, გამეგო სხვაობა სვანურ, თუშურ, გურულ და სხვა კუთხის სიმღერებს შორის. ედიშერი გვიყვებოდა, თუ სადაური იყო ეს სიმღერები, ამგვარად, მე წარმოვადგინე მექმნებოდა, თუ როგორი იყო საქართველო და ძალიან საინტერესო იყო ჩემი ჩამოსვლა აქ 1998 წელს, კონსერვატორიის მიერ ორგანიზებულ მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე.



ქეროლანის ბითელი სვანეთში, სოფელ ლახუშდში, მურად ფირცხელანის ოჯახთან ერთად

ბოლო დროს, შესაძლებლობა მქონდა, რამდენიმე ზაფხული გამეტარებინა აქ. წელს ნახევარწლიანი შემოქმედებითი შევებულება მქონდა უნივერსიტეტიდან კვლევისთვის

ვის და გადავწყვიტე, რაც შეიძლება მეტი დრო გამეტარებინა საქართველოში.

**თ.ლ.** – რომ შევადაროთ კორსიკულ გამოცდილებას, რას იტყვით თქვენს საქსპედიციო საქმიანობაზე საქართველოში? თუ გქონიათ წინააღმდეგობა, ან პრივილეგია, როგორც ქართული მუსიკის კვლევით დაინტერესებულ უცხოელს?

**ქ.ბ.** – ახლა, როდესაც გადავწყვიტე, რომ მეტი დრო დავუთმო მუსიკალური კულტურის კვლევას საქართველოში, ჩემთვის მთავარი გამოწვევა არის ენა. აქამდე იოლად გავდიოდი ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების კომბინაციით, ზოგჯერ კი ვინმე მესმარებოდა თარგმნაში. ახლა მინდა, დამოუკიდებლად შევძლო მუშაობა და კითხვა. ჩემი აზრით, საქართველო ძალიან მოსახერხებელი ქვეყანაა კვლევის საწარმოებლად, რადგან თითქმის ყველა, ვისაც შევხვედრივარ, თავაზიანი და კეთილმოსურნეა. ეს დიდ უპირატესობას ანიჭებს აქ მუშაობას. ამ ჯერზე უკვე იმაზე მეტის გაკეთება შეეძელი, ვიდრე ველოდი: დავესწარი ანსამბლების რეპეტიციებს თბილისში, ვიყავი რამდენიმე ფესტივალზე, ვეცნობოდი წიგნებსა და ჟურნალებს კონსერვატორიასა და ფოლკლორის ცენტრში; ბევრს ვესაუბრებოდი ხალხს, დავდიოდი კონცერტებზე და ვაკვირდებოდი, თუ როგორ ასწავლიან საბავშვო კოლექტივებს.

**თ.ლ.** – თუ შეხვედრიხართ საინტერესო ქართველ მუსიკოსებს, როგორც ქალაქურ, ისე სოფელურ გარემოში? როგორ აღწერთ ამ გამოცდილებას?

**ქ.ბ.** – ნამყოფი ვარ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, როგორც ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი უცხოური ჯგუფის წევრი. მაგალითად, სოფელ ლახუშდში სიმღერებს გვასწავლიდნენ მურად ფირცხელანი და გიგო ჩამგელიანი. მე იქ სრულფასოვანი მოძღვრალი ვიყავი და თან ვცდილობდი, ჩემი გონების ნაწილი კვლევის რეჟიმში შემენარჩუნებინა – ვაკეთებდი ჩანაწერებს, ვიწერდი ინტერვიუებს, და ა.შ. ეს მოგზაურობები ძალიან საინტერესოა იმიტაც, რომ ვიგებ, თუ როგორია ცხოვრება სოფლად – თუნდაც ზაფხულში. ჯერ-ჯერობით არ მქონია შესაძლებლობა, საქართველოს რეგიონებში მემოგზაურა წელიწადის სხვა დროს. საქართველოში შემდეგი ჩამოსვლის დროს ძალიან მინდა ვეწვიო აჭარას და გავატარო ზამთარი სვანეთში.

**თ.ლ.** – რა არის საქართველოში თქვენი კვლევის მიზანი და როგორი შეიძლება იყოს მისი საბოლოო შედეგები? ხომ არ აპირებთ მათ გამოქვეყნებას ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ?

**ქ.ბ.** – ვაპირებ დავწერო თბილისური ანსამბლების შესახებ. ქართველი მკვლევრები ბევრს წერენ ქართული მუსიკის შესახებ, მე არ ვაპირებ იგივეს დაწერას. ჩემი სფერო უფრო ანთროპოლოგიური მიმართულებაა, ვიდრე მუსიკალური მხარე.

**თ.ლ.** – რას იტყვით ქართული ეთნომუსიკოლოგიური გარემოს შესახებ, ღონისძიებებზე, რომელსაც აქ ყოფნის დროს დაესწართ? როგორ შეაფასებდით ქართველი ეთნომუსიკოლოგების მიდგომას საკუთარი კულტურის კვლევის მიმართ? ჩვენთვის ყოველთვის საინტერესოა გარეშე პირის თვალსაზრისი.

**ქ.ბ.** – პირველად საქართველოში ედიშერ გარაყანიძის რეკომენდაციით ჩამოვედი 1998 წელს და განცვიფრებული დავრჩი იმ ფაქტით, რომ კონფერენციის ერთადერთი უცხოელი მონაწილე ვიყავი. მთხოვეს, კორსიკაზე მესაუბრა. მაშინ უკვე ვსაუბრობდით კორსიკასა და საქართველოს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე.

მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი ფაქტია, რომ ახლანდელ სიმპოზიუმებში ბევრად მეტი უცხოელი მონაწილეობს; გარდა იმისა, რომ სიმპოზიუმის მასალები ორენოვანია (ინგლისურ-ქართული), ხელმისაწვდომია ამ მასალების ელექტრონული ვერსიაც.

არსებობს ორი მთავარი განსხვავება ჩემი თვალთ დანახულ საქართველოში მსოფლიო მუსიკის კვლევისა და ჩემს მიერ დიდ ბრიტანეთში მიღებულ განათლებას შორის. ერთი, რომ საქართველოში ხალხი უმეტესად მუშაობს ქართულ მუსიკაზე, ხოლო დიდ ბრიტანეთში თითქმის არავინ მუშაობს ბრიტანულ მუსიკაზე. ეთნომუსიკოლოგიის დასავლურ იდეას დასაბამი მისცა სხვა ხალხის მუსიკის კვლევის გადაწყვეტლებამ. დიდი ხნის განმავლობაში, საეჭვო იყო საკუთარი მუსიკის კვლევა მხოლოდ მასთან სიახლოვის გამო, შესაძლოა, ობიექტური არ ყოფილიყავი.

**თ.ლ.** – თქვენი აზრით, რამდენად მრავალფეროვანია ქართული ფოლკლორული კოლექტივები ტრადიციული მუსიკის შესრულების თვალსაზრისით?

**ქ.ბ.** – რამაც გამაკვირვა საქართველოში, იყო ანსამბლების საქმიანობის მრავალფეროვნება. ისინი კონცენტრირებული არ არიან მხოლოდ კონცერტებზე. როდესაც ანსამბლების წევრებს ვესაუბრობდი, რამდენიმე მათგანმა მთხრა, რომ, პირველ რიგში, ეს იყო მეგობრების ჯგუფი, რომელთან ერთად სიმღერა მოსწონდათ. საქმე მხოლოდ კონცერტებში არაა, მუსიკა მათი ცხოვრების ნაწილია. ზოგიერთი ანსამბლის ხელმძღვანელი საუბრობდა, თუ როგორ არჩევდა სიმღერებს და გამოცა რამდენიმე მათგანის ნათქვამმა:



ქეროლან ბითელი ანსამბლ „ადილეისთან“, ზოე პერესთან და მეთიუ ნაითთან ერთად

„მე ისეთ სიმღერებს ვირჩევ, რომლებიც, ჩემი აზრით, ადამიანებს თავს ძლიერად აგრძნობინებს, და არა ისეთებს, რომლებიც სცენაზე კარგად გამოიყურება“. აქ ჩვენ ვართ მუსიკის, როგორც სოციალური ურთიერთქმედების სამყაროში, მუსიკის „კეთების“ ფსიქოლოგიური მხარე აქ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

**თ.ლ.** – და ბოლოს, რას ნიშნავს იყო ეთნომუსიკოლოგი დღეს, 21-ე საუკუნეში?

**ქ.ბ.** – ამჟამად ბევრი ადამიანია დაინტერესებული ეთნომუსიკოლოგიით და გვაქვს ეთნომუსიკოლოგიის სწავლის/სწავლების კარგად ჩამოყალიბებული ტრადიცია. კარგია, რომ ასეთი დიდი ინტერესი არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მუსიკის მიმართ. მუსიკა ხომ უამრავი ადამიანის ცხოვრების მთავარი ნაწილია. ეთნომუსიკოლოგი სწავლობს არა მარტო მუსიკას, როგორც ასეთს, არამედ იმ ადამიანებსაც, ვინც მუსიკას ქმნის და იმასაც, თუ რატომ ქმნიან ისინი მუსიკას, თუ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი... მსოფლიოს ბევრ წერტილში მუსიკა არც ფუფუნ

ნებაა და არც სანახაობა, რომელიც მხოლოდ სცენაზე ხდება. ის არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხების დედაარსი. ამის გაგება სტუდენტებისთვის შთამაგონებელია. როდესაც ისინი ეთნომუსიკოლოგიას სწავლობენ, იგებენ, თუ როგორ ხდება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მუსიკის ჩართვა/გამოყენება; როგორ ეხმარება მუსიკა ადამიანს, გაუძლოს ომებს ან სტიქიურ უბედურებებს, როგორიცაა, მაგალითად, ცუნამი. ეს მუსიკას განსხვავებულ სტატუსს, მნიშვნელობასა და დირექტულებას ანიჭებს. ამიტომაც ვასწავლი მეთნომუსიკოლოგიას.

**თ.ლ.** – ძალიან საინტერესოა თქვენთან საუბარი, წარმატებებს გისურვებთ და ტმკსც-ის სახელით მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსთვის.

*ინტერვიუ ჩაიწერა ტმკსც-ის  
სპეციალისტმა თეონა ლომსაძემ*

## ერთი საკრავის შესახებ

### ქართული გუდასტვირი და მისი „ნათესავები“ ევროპაში

საქართველოში გავრცელებულ ჩასაბერ საკრავებს შორის *გუდასტვირი* ყველაზე განვითარებული საკრავია, რადგან მასზე მრავალხმიანი მუსიკის შესრულებაა შესაძლებელი, დასამზადებლადაც ყველაზე რთულია და შესასრულებლადაც.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გუდასტვირი განსხვავებული სახელწოდებით გვხვდება: რაჭაში მას *სტვირს* ან *შტვირს* უწოდებენ, აჭარაში – *ჭიბონს* ან *ჭიმონს*, მესხეთში – *თულუმს*, ქართლში – *სტვირს*, ფშავში კი – *სტვირგუდას*. სამწუხაროდ, დღეს ეს საკრავი მხოლოდ რაჭასა და აჭარაშია შემორჩენილი.

გუდასტვირი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: გუდისა და სტვირისაგან. გუდა ჰაერის რეზერვუარია. ის თხის, ხბოს ან ცხვ-

რის ტყავისაგან მზადდება, რომელსაც ერთ ნახვრეტში დატანებული აქვს ჩასაბერი მილი, ე.წ. *ხრეკო*, ხოლო მეორეში ჩასმულია სტვირის ბუდე, ე.წ. *ნავი*, რომელშიც ორი, თანაბარი სიგრძისა და სისქის *დედანი*, ანუ *ლერწამია* ჩადგმული (სხვა ნახვრეტები დალუქულია). დედნებს თავში ჩასმული აქვთ ე.წ. *წვილეები*, რომლებში ჩაბერვის შედეგადაც მიიღება საკრავიერი ბგერები.



რაჭული გუდასტვირი

სტვირის ბუდე ბოლოვდება ხარის ან ჯიხვის რქით, რომელიც სარეზონატორო ქარახსას წარმოადგენს. დედნების *ნავი* რბილი ხისგან მზადდება, *დედნები* – ღრუიანი მცენარეებისგან, *წვილეები* კი – ლერწმისგან.

გუდასტვირს დიატონური ბგერათრივი აქვს, რომლის დიაპაზონი დამოკიდებულია დედნებზე ამოჭრილი ნახვრეტების, ე.წ. თვლების რაოდენობაზე. რაჭულ *სტვირს* ერთ ლერწამზე 3 ნახვრეტი აქვს, მეორეზე – 6, შესაბამისად, ერთი ლერწამი იძლევა შვიდბგერიან რიგს, მეორე კი – ოთხბგერიანს. აჭარულ *ჭიბონს* ერთ ლერწამზე 3 ნახვრეტი აქვს, მეორეზე კი – 5. ამიტომ ამ ორი საკრავის ბგერათრივს შორის განსხვავება მხოლოდ დიაპაზონშია. მესხურ *თულუმს* ორივე დედანზე 5-5 თვალი აქვს. რაც შეეხება ფშავურ *სტვირგუდას*, ლიტერატურაში არ არის შემორჩენილი ცნობები მისი ბგერათრივის შესახებ, თუმცა თავად ფშაველებს ახსოვთ, რომ მას ერთ ლერწამზე 5 თვალი ჰქონია, მეორეზე კი – 1.

გუდასტვირზე დაკვრის დროს შემსრულებელს გუდა მარჯვენა იდლიის ქვეშ



აქვს ამოდებული და სტვირზე ორივე ხელით უკრავს. ბურდონული ბგერები გამოიცემა იმ ლერწმით, რომელზეც ნაკლები ნახვრეტია, მეორეზე კი მელოდია სრულდება. ამგვარად, გუდასტვირზე აიღება ორხმიანი თანაბგერადობები და სრულდება ორხმიანი ჰანგები. ლერწმების სახელწოდებები სასიმღერო ხმებისას ემთხვევა: მარჯვენას *მოქმელი* ეწოდება, მარცხენას – *ბანი*.

გუდასტვირზე მხოლოდ მამაკაცები უკრავენ.

**რაჭული გუდასტვირი** სააკომპანემენტო საკრავია, რომელიც რეჩიტატიული სიმღერების თანმხლების როლში გამოდის. რაჭული სიმღერები გუდასტვირის თანხლებით ერთხმიანია. ესაა მესტვირეების ტრადიციული რეპერტუარის სიმღერები, რომლებშიც ძირითადი როლი სიტყვიერ ტექსტს ეკისრება და არა მელოდიას. მათი შინაარსი ისტორიული, ეპიკური, სატირულ-უმორისტული, კომიკური ან ლირიკულია. ამ ტექსტებს მესტვირეები ხშირად ექსპრომტად თხზავდნენ. მესტვირე აუცილებელი მონაწილე იყო დღეობებისა, ქორწილებისა, ხალხური დღესასწაულის – ბერიკაობისა. მესტვირეების მთავარ „ბუდედ“ რაჭაში ონის რაიონის სოფელი ფარახეთი ითვლებოდა. ყოფილა დრო, როცა ფარახეთში 120 მესტვირეს უცხოვრია.

აჭარული ჭიბონი უფრო მაღალ რეგისტრში უღერს, ვიდრე რაჭული გუდასტვირი. იგი ძირითადად საცეკვაო სოლო მელოდიების შესასრულებლად გამოიყენება. ხშირია მისი გამოყენება ასევე ინსტრუმენტულ ანსამბლშიც დოლთან ერთად. აღსანიშნავია, რომ აჭარაში ჭიბონზე ნადის დროსაც უკრავდნენ.



**აჭარული ჭიბონი**

გუდასტვირი ევროპის ბევრი ხალხისთვისაა ცნობილი. მისი სახელწოდებაც მრავალგვარია. თუმცა, ყველა გუდასტვირი ორი უმთავრესი ნაწილისაგან – გუდისა და სტვი-

რებისაგან შედგება. განსხვავებულია გუდის მასალა, ზომა, სტვირების რაოდენობა და გუდის ჰაერით გავსების მეთოდები. გუდა შეიძლება დამზადდეს სბოს, ცხვრის ან თხის ტყავისგან; თავში ყველა გუდასტვირს ჰაერის ჩასაბერი მილი აქვს ჩამაგრებული, ქვემოდან კი – ორი ან მეტი სტვირი. მათ შორის, ერთ-ერთი მელოდიის შესასრულებლადაა განკუთვნილი, დანარჩენები კი ბურდონულ ბანს ასრულებენ. თუ ბანის სტვირი ორია, ისინი კვინტურ საყრდენს ქმნიან. ზოგიერთი გუდა იბერება არა პირით, არამედ საგანგებო საბურველით, რომელიც მარჯვენა ხელის იდაყვს მოჰყავს მოძრაობაში. ასეთ საკრავს წარმოადგენს *ირლანდიური გუდასტვირი* – *illeann pipes*, რაც სიტყვასიტყვით „იდაყვის გუდასტვირს“ ნიშნავს. მისი დიაპაზონი აჭარბებს ყველა სხვა მსგავსი საკრავის დიაპაზონს და ორ სრულ ოქტავას მოიცავს.

**შოტლანდიური გუდასტვირი** (ინგ. *bagpipe*) ძველებური შოტლანდიური საკრავია. გუდა დამზადებულია ცხვრის ან თხის გადმობრუნებული ტყავისგან, მიმაგრებული აქვს სამი ბურდონული და ერთი მელოდიური სტვირი რვა ნახვრეტით, ერთიც – მოკლე მილი ჰაერის ჩასაბერად.

შოტლანდიაში გუდასტვირი უმთავრეს ეროვნულ საკრავადაა მიჩნეული.



**შოტლანდიური გუდასტვირი**

**სომხური გუდასტვირი**, რომელსაც „პარკაპ-ზუკს“ უწოდებენ, ირლანდიურს ენათესავება. მას თვლები (ნახვრეტები) მხოლოდ მელოდიის შესასრულებელ სტვირზე აქვს, დანარჩენი სტვირები კი (ერთი ან ორი) თითო ბგერას გამოსცემენ. ეს საკრავი სომხეთში ცეკვის თანხლებისთვის გამოიყენება.

**ბელორუსიული გუდასტვირი** – „დუდა“ – XV საუკუნიდან მოიხსენიება ლიტერატურაში. ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საკრავი ყოფილა და აქტიურად გამოიყენებოდა ბელორუსიულ ფოლკლორში. აღსანიშნავია, რომ „დუდარული მოძრაობა“ (დუდარებს დუდაზე შემსრულებლებს უწოდებენ) დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს ბელორუსიაში.



ბელორუსიული გუდასტვირი

თითქმის ყველა ახლადშექმნილი მუსიკალური ჯგუფი იყენებს „დუდას“ თავის რეპერტუარში.

**ბულგარული გუდასტვირი** – „გაიდა“ – იმით გამოირჩევა, რომ ერთ-ერთი ნახვრეტი, რომელიც წესით ამოქოლილი უნდა იყოს, ღიაა და შემსრულებელი საჩვენებელი თითით ხურავს მას დაკერის დროს.



www.balkanfolk.com

ბულგარული გუდასტვირი

ხალხური სიმღერები ხშირად სრულდება „კაბა-გაიდის“ აკომპანემენტით, ესაა დიდი გუდასტვირი დაბალი ტემბრით.

საინტერესო მოვლენაა 60-100 მეგუდასტვირისაგან შემდგარი ორკესტრების არსებობა ბულგარეთში, რომელთაც „ასი კაბა-გაიდა“ ეწოდება.

**იტალიური გუდასტვირი** ორი ტიპისაა: ჩრდილოეთ-იტალიური, რომელიც ფრანგულ და ესპანურ საკრავებს ჰგავს და სამხრეთ-იტალიური, რომელსაც „ზამპონას“ (იტ. *zampogna*) უწოდებენ. ამ საკრავს ორი მელოდიური და ორი ბურდონული სტვირი აქვს. როგორც წესი, ის გამოიყენება, როგორც აკომპანემენტი მცირე, ჰობოის მსგავსი საკრავისა, რომელსაც იტალიელები „ჩიარამელას“ (იტ. *ciaramella*) უწოდებენ.

**მორღოველ გუდასტვირს** საუკუნოვანი ისტორია აქვს. წარსულში მას მუსიკალურ თანხლებასთან ერთად რიტუალური დანიშნულებაც ჰქონია: ითვლებოდა, რომ მასზე დაკვრა იცავდა გარშემომყოფებს ავი თვალისაგან და შეეძლო კეთილი სულების მოზიდვა. მორღოველებს ორი სახის გუდასტვირი ჰქონიათ სახელწოდებით „მოკშ“. პირველი მათგანი ტრადიციული იყო და შედგებოდა ხბოს ტყავის გუდისაგან, რომელსაც ჰქონდა ჩასაბერი მილი და სამი სტვირი – ორი მელოდიური და ერთი – ბურდონის შესასრულებლად. მეორე ნაირსახეობა კი ხარის, ძროხის ან ღორის ბუშტისაგან მზადდებოდა, ორი ღერწმის სტვირი ედგა, ჩასაბერი მილი კი არ ჰქონდა. ჰაერი რომ დაიცვლებოდა, შემსრულებელი სტვირებს აცლიდა, გუდას ბერავდა, შემდეგ სტვირებს ისევ ალაგებდა და აგრძელებდა დაკვრას. ასეთ შემთხვევაში ხშირი იყო ორი მესტვირის მონაცვლეობა: სანამ ერთი უკრავდა, მეორე გუდას ბერავდა და პირიქით.



იტალიური „ზამპონა“

**რუსული გუდასტვირი** რუსეთში ოდითგანვე პოპულარული ხალხური საკრავი იყო. ის, ძირითადად, ცხვრის ან ხბოს ტყავისაგან მზად-

დებოდა. ჰქონდა საჰაერო მილი, ორი ბანის და ერთი, შედარებით მცირე ზომის, მელოდიის შესასრულებელი სტვირი. მაღალი წრის საზოგადოება ამ საკრავს არ ცნობდა, ის არაპარმონიულ, გამომსახველობას მოკლებულ, ერთფეროვან ინსტრუმენტად მიაჩნდათ, რომელიც უბრალო ხალხისთვის იყო განკუთვნილი. ამის გამო, XIX საუკუნეში გუდასტვირი ნელ-ნელა ჩაანაცვლა უფრო რთულმა ჩასაბერმა ინსტრუმენტმა – ბაიანმა.

**უკრაინულ გუდასტვირს** „კოზას“ (სიტყვასიტყვით „თხა“) უწოდებენ, რადგან მისი გუდა თხის ტყავისაგან მზადდება, რომელზეც თხის თხის თავს ამაგრებენ, ხოლო სტვირებს ფეხების მსგავსად უკეთებენ. ეს საკრავი სახალხო სეირნობების უცვლელი მონაწილე იყო. „თხისთავიანი“ გუდასტვირი გვხვდება პოლონეთში, ჩეხეთში და ა.შ.



გუდასტვირი „კოზა“

**ფრანგული გუდასტვირი.** საფრანგეთში რამდენიმე ტიპის გუდასტვირია გავრცელებული, რაც გამოწვეულია ქვეყნის სხვადასხვა რაიონის მუსიკალური ტრადიციების მრავალფეროვნებით. ესენია: ცენტრალურ-ფრანგული გუდასტვირი (ფრ. *musette du centre*), რომელიც 2-3 ბურდონისა და ერთი მელოდიური სტვირისაგან შედგება; ე.წ. „კაბრეტა“ (ფრ. *chabrette*), რომელსაც ერთი ბურდონი აქვს; ე.წ. „ბოდეგა“ (*bodega*) საბერველითა და ერთი ბურდონით და „მიუზეტ დე კური“ (ფრ. *musette da cour*), ე.წ. „სალონური“ გუდასტვირი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა XVII-XVIII საუკუნეებში კარის მუსიკოსების მიერ. მას ორი მელოდიური და ერთი ბურდონული სტვირი აქვს და საბერველითაა აღჭურვილი. **ჩუვაშური გუდასტვირი** ორი სახეობისაა: „შაპარი“ და „სარნაი“.

„შაპარი“ (ჩუვაშ. ბუშტი) გამორჩეულია იმით, რომ ხარის ან ძროხის ბუშტისგან მზადდება, ლითონის ჩასაბერი მილი და 2 ცალი კალის მელოდიური სტვირი აქვს, რომლებიც ძროხის რქით ბოლოვდება. მასზე შესაძლებელია როგორც ქრომატიული, ისე, დიატონური ინტერვალების აღქმაც.

„სარნაის“ გუდა, „შაპარისაგან“ განსხვავებით, ხბოს ან თხის ტყავისგანაა დამზადებული, კვინტურად აწყობილი 2 ბურდონული და ერთი მელოდიური სტვირისაგან შედგება. ყველა სტვირი ხის ან ლერწმისაა, ბგერათრიგი დიატონური აქვს. მასზე დამჯდარ მდგომარეობაში უკრავენ და ფეხით რიტმს აყოლებენ.

**ოსური გუდასტვირი**, რომელსაც „ლალიმ-უადინძს“ უწოდებენ, აგებულია და ჟღერადობით წარმოადგენს კავკასიური გუდასტვირის ერთ-ერთ სახეობას. მისი სახელწოდება წარმოდგება სიტყვებისაგან: „ლალიმ“ (ტყავის ტომარა) და „უადინძ“ (სალამური).

ევროპის ქვეყნებში გავრცელებული გუდასტვირების მსგავსება მათ საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს და კულტურის განვითარების დიფუზური თეორიით აიხსნება.



## წერილები არქივიდან

ახალგაზრდებისთვის ყოველთვის საინტერესოა წინაპართა ნაზრევი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე უდიდეს კულტურულ საგანძურს, მუსიკალურ ფოლკლორს ეხება. სწორედ ამ მიზნით ჩავრთეთ ჩვენს ბიულეტენში რუბრიკა „ძველი პრესის ფურცლებზე“, რომელიც ამჯერად შევცვალეთ რუბრიკით „წერილები არქივიდან“. ვფიქრობთ, რომ ძველი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებზე არანაკლებ საინტერესოა არქივებში დაცული წერილები, რომლებსაც დღის სინათლე ჯერ არ უხილავთ. სწორედ ჩვენი ბიულეტენი მოგცემთ საშუალებას, პირველად გაეცნოთ მათ.

ვთავაზობთ წერილს კახური შრომის სიმღერების შესახებ, რომლის ავტორია **მარიამ არჯენიშვილი (1918-1958)**, ქართველი მომღერალი, ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი და ფანდურზე დაკვრის ვირტუოზი; საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; სხვადასხვა დროს თვითმოქმედი გუნდებისა და ხალხურ საკრავთა ანსამბლების ხელმძღვანელი.

## ქართული ხალხური (კახური) შრომის სიმღერები და მათი შინაარსი

საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებმა დროთა განმავლობაში შექმნა თავისი ადგილ-მდებარეობის, ამა თუ იმ კუთხის შრომა-საქმიანობის შესატყვისი სიმღერები. სიმღერა შრომის გამოძახილია. რთული შრომა შემსუბუქებას თხოულობს. სწორედ სიმღერით იმსუბუქებდა მშრომელი ხალხი მძიმე საქმიანობას.

ბარში უფრო მრავალსახეობრივია შრომა, ვიდრე მთაში და, ამიტომაც, ბარის მცხოვრებლებმა უფრო მრავალფეროვანი შრომის სიმღერები შექმნეს; თუ დავახასიათებთ ბარის შრომა-საქმიანობას, ნათელი წარმოსადგენი გახდება მისი ხალხური შრომის სიმღერები.

კახეთში შემოდგომაზე თესავენ ხორბალს, ქერს, გაზაფხულზე – სიმინდს, ბოსტნეულს, საზამთროს, ლობიოს, კარტოფილს; სხლავენ, კონავენ და წამლავენ ვენახს; თიბავენ ბალახს, თოხნიან სიმინდსა და ბაღ-ბოს-

ტანს, მკიან პურს, მიაქვთ კალოზე, იწყება კალოობა, ე.წ. პურის ლეწვა; შემდეგ – საზამთროს კრეფა, სიმინდის ტეხვა, ყურძნის კრეფა (რთველი), მაჭრობა, ჩურჩხელების გაკეთება და ბოლოს – მოსავლის შენახვა.



მარიამ არჯენიშვილი

შრომის ამ თავისთავად მრავალნაირობამ მრავალგვარი სიმღერების შექმნას შეუწყო ხელი.

გარდა ამისა, ხალხი სარწმუნოებასაც მისდევდა: ის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისთვის ადიდებდა მოსავლის ღმერთებს, გვალვის თუ წვიმის ღმერთებს და რა გასაკვირია, რომ შექმნილიყო ამინდის მართვის სიმღერები.

მიწის დამუშავებას გლეხი შემოდგომის ხენით იწყებდა: შეაბამდა რამდენიმე უღელ ხარ-კამენს, გუთნისდედა და მეხრეები ჭაპანს (მსხვილ თოკს) გაჭიმავდნენ. დამენათევი მეხრე, რომელიც მთელი დამე ხარ-კამენს აძოვებდა, იძულებული იყო, მეორე დილას კვლავ ხვნას შესდგომოდა. ამრიგად დაღლილი, მძიმე შრომაში ჩართული ქმნიდა ის გუთნურ სიმღერებს და ამ სიმღერებში ჰპოვებდა შეებას, შრომის შემსუბუქებას... მათში ჩაქსოვილია გლეხკაცის მთელი ნაღველი, გამოწვეული მძიმე ყოფით მებატონის ხელში და ცხოვრების ჭირ-ვარამით.

კახელებისთვის ვენახი სათაყვანებელია და მას დიდი სიყვარულით უფლიან. გაზაფხულის სამუშაოები ვენახის გასხვლით იწყება. შემდეგ გასხვლულ ხის შტოებს კონავენ და სიხარულით მღერიან ამ დროს „კონურს“,

რომელიც კარგი მოსავლის აღების იმედითაა სავსე.

სიმინდის თოხნის დროს გლეხები ხშირად მღეროდნენ „მუმილი მუხასას“ სხვადასხვა ვარიანტს. ეს სიმღერა ერთგვარი ჰიმნი იყო, რომელსაც შემსრულებლები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მღეროდნენ.

არსებობს სხვა თოხნური სიმღერებიც, რომლებიც საზამთროს, ლობოს, კარტოფილის, ჭარხლისა და სხვა ჭირნახულის თოხნის დროს სრულდებოდა. ასეთი საქმიანობა (განსაკუთრებით, საზამთროს ძირების თოხნა) დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა და შრომის ნელი ტემპის შესაბამისად, სიმღერის ტემპიც ნელდებოდა, თუმცა, საქმიანობის დასასრულს, კვლავ აჩქარებდნენ და სიმღერა საფერხულთი სრულდებოდა.

თიბვის სიმღერას („თიბვურს“) რამდენიმე გლეხი მღერის ცელის ღვთისა და თიბვის დროს. ამ სიმღერას ძალიან შორეული წარსული აქვს. იგი იმ დროს ეკუთვნის, როცა ქალები თიბავდნენ ბალახს. ამას მოწმობს „თიბვურების“ ტექსტიც:

„ქალს თივა გაგითიბნია  
უმზუოდ გაგიფენია,  
აიღე, თორემ დანამავს  
ცაზე ღრუბლები ჰყენია“.

ეს სიმღერა ახლაც შემორჩენილია ხალხში და დღეს, როცა თიბვაში ქალის შრომა კაცის შრომითაა შეცვლილი, მას კაცები კვლავ პირვანდელი ვარიანტის სახით ასრულებენ.

პურის მკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობათაგანია კახეთში. მისთვის გლეხები წინასწარ საგულდაგულოდ ემზადებიან. შეარჩევენ კარგ მომკელებს, ამზადებენ ნამგლებს, საღესავ ქვებს და ა.შ. მოიმარაგებენ საკლავს – ცხვარს, ინდაურს, ქათამს, ღვინოს, სხვა საჭმელ-სასმელს და დილას გაუთენებლად გაემგზავრებიან მინდვრისაკენ. სასადილოდ მიდიან ჩრდილისაკენ, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ხე ან ხელოვნურად გაკეთებული საჩრდილობელი. მგზავრული სიმღერით მიდიან ჩრდილში, შეღესავენ ნამგლებს, ისადილებენ, დაღვევენ ღვინოს და განაგრძობენ მკას. მკის დროს იმართება შეჯიბრი. ერთ-ერთი ყოჩაღი მომკელი დაწინაურდება, „მესვეური“ გახდება, მკით სიგრძეზე გადაჭრის ყანას და „გაიპარება“. აქ იწყება მისი სადიდებელი სიმღერა, რომელსაც „მესვეურის სიმღერა“ ეწოდება.

რამდენიმე მომკელს ძნის ერთი შემკრელი ჰყავს, რომელსაც „მეძნეურეს“ უწოდებენ. სწორედ მას უმღერიან „მეძნეურის სიღერას“. ამის შემდეგ გრძელდება სიმღერები „ჰერიო“ და „ჰოპუნა“, რომლებიც შრომის ტემპთანაა შესამებული და შეძახილებითაა გაჯერებული. მაგალითად: „აბა“, „აი, ნახე“, „აი, მე როგორ ვმკი“, „შენ რას უყურებ“, „თუ მაჯობებ, აბა ვნახავ“ და ა.შ.

მთელი ყანის მკა ასეთი მხიარულებით, სახეიმო განწყობილებითა და სიმღერათამაშით მთავრდება. მუშაობის დამთავრების შემდეგ, ლოცავენ მოსავლის პატრონს და მაღლა ამართული ნამგლებით მიდიან შინისაკენ სიმღერით, რომელსაც ეწოდება „ოდური“.

ურმული ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და მრავალფეროვანი შრომის სიმღერაა, რომელიც ცხოველმყოფელობას არ კარგავს, რადგან მშრომელი გლეხის სიღუჭირეს სურათონად გადმოგვცემს და განგვაცდევინებს.

ძველ დროს, როცა ტრანსპორტი ჭირდა, კახელ მეურმეებს შორ მანძილზე უხდებოდათ მოგზაურობა, ზოგჯერ რამდენიმე ურემი ერთად მიდიოდა და ერთმანეთს ენაცვლებოდა „ურმულები“.

სხვა შემთხვევაში, ტყეში მოჭრიალე შემთხვევით დატვირთულ, მინდორში სიმინდით ან საზამთროთი სავსე ურემებსაც შეხვდებოდით და წვრილ ხმაზე „ურმულის“ წკრიალსაც გაიკონებდით. ეს ჩემთვის ზემოთ იყო. გავიგონებდი თუ არა, ჯერ კიდევ ბავშვი, ჩემს ტოლ გოგონებს ავიყოლოებდი, დავეწოდით, ჩუმიად მიყვებოდით ურემს და ვუსმენდით.

წვრილ ხმაზე „ურმულის“ სიმღერაში ძველთაგანვე განთქმულნი იყვნენ შალაურელი გლეხები (შალაური სოფელია თელავის რაიონში). აქაური „ურმულის“ ერთ-ერთი ვარიანტი დიმიტრი არაყიშვილსაც აქვს ჩაწერილი.

მესხიერებაში ჩამრჩა შთაბეჭდილება: როდესაც მეურმე მღეროდა, ხარ-კამეჩებისთვის მიყურებია, როგორ სიამოვნებას გრძობდნენ ისინი. თავჩაქინდრულნი მიიზღაზნებოდნენ და როცა მეურმე სიმღერას დაამთავრებდა, ფხიზლდებოდნენ და თავებს მაღლა სწევდნენ.

ერთხელ მამაჩემმა ურმით ვენახში წამიყვანა, ბალახი მოთიბა, შეკრა, ურემზე დადო, მე ხედ დამსვა, თვითონ კოფოზე დაჯდა და „ურმული“ წამოიწყო. მე სულგანაბული ვუსმენდი და ვნატრობდი, არ დაჩუმებულიყო.

მოსახვევში ბალახის შეკვრა ურმიდან გადმოვარდა და მეც გადმოვფორდი, მაგრამ ისეთი გატაცებული ვიყავი სიმღერის მოსმენით, რომ ხმა ვერ ამოვიღე, არ მინდოდა ამის გამო მამას სიმღერა შეეწყვიტა.

ასე მიტაცებდა ბავშვობაში „ურმული“ და, საერთოდ, შრომის სიმღერები.

*წერილი აღებულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივიდან*

## ერთი ჟანრის შესახებ

### აკვნის ნანა

ბავშვის დაძინებისთვის განკუთვნილი ჰანგი მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორში გვხვდება. ბგერების სამყაროსთან ერთ-ერთი პირველი შეხება დედის მიერ დამღერებული მელოდიაა. დედის სიყვარულით გამთბარი ინტონაცია დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ხასიათზე, მეტყველებისა და ათვისების უნარზე, გონებრივ მონაცემებზე.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასაძინებელი ნიმუშის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი გვხვდება: ნანა, ნანე, ნანი, ნანო, ნანაი, ნანინა; ნანილა-ნანაილა (სვანეთში), ჰა, ნანი (ლაზეთში), რურუ ნანა (აჭარაში), დად-დად, ნაენა (საინგილოში), აკვნის ნანა. ზოგჯერ მის სათაურად „იანანაც“ იხმარება. სახელწოდება და მასში ხშირად გამოყენებული რეფრენი, მკვლევართა აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს ძველი წინააზის ქალღვთაება *ნანასთან*, რომელსაც მზის, სინათლის, ნაყოფიერების, შვილიერების მფარველად მიიჩნევენ.

ნანასადმი თაყვანისცემის ტრადიცია ერთნაირად ძლიერი ყოფილა კავკასიასა და მის მახლობელ მხარეებში. ქართველურ უმწერლობო ენაში ზანურში „ნანა“, „ნენა“ „დედის“ აღმნიშვნელ ცნებებად იხმარება. იგივე დატვირთვით გამოიყენება ის კავკასიურ ენებშიც. ბავშვის დასაძინებელი ნიმუშები „ნანას“ მსგავსი სახელწოდებით გვხვდება კავკასიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოგიერთ ხალხთანაც: ადიღეში, აზერბაიჯანში, იტალიასა და ესპანეთის ბასკეთში. მეცნიერები ამ მსგავსებას, კულტურის განვითარების

დიფუზური თეორიის თანახმად, საერთო კულტურული კერების არსებობით ხსნიან.

ბავშვის დაძინებისას დედის უპირველესი მიზანი უსაფრთხო, მშვიდი აურის შექმნაა. მისი შესრულების მანერასაც – დილინით, ღულუნით (მტრედის მიბაძვით მღერას) იმ უძველეს რწმენას უკავშირებენ, რომელიც მძინარე ბავშვის მფარველი ანგელოზების მამებლობაში, პატივისცემაში, გულის მოგებასა და დატკობაში მდგომარეობდა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძილიდან გამოსვლის, გამოღვიძების პროცესსაც. საინტერესოა, რომ ზოგიერთ ხალხში, მათ შორის საქართველოშიც, დედა სიმღერით არა მარტო აძინებდა, არამედ აღვიძებდა კიდევ თავის პირმშოს.

დასაძინებელი „ნანა“ მუსიკალური თერაპიის შესანიშნავი მაგალითია. ქალის ხმით ხდება გარე სივრცისაგან, ხმაურისაგან ბავშვის სმენის გამიჯვნა, რაც ხელს უწყობს მის მშვიდად ჩაძინებას.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთხმადიანი ნიმუშების ანალიზი ადასტურებს ე. წ. „სიმღერამდელი პერიოდის“ შელოცვის ტიპისა და მღერად-მელოსური „ნანას“ არსებობას.

საინტერესოა, რომ ყოფაში შემორჩენილი ერთხმადიანი დასაძინებელი ნიმუშების გვერდით, ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, რაჭაში, სვანეთში, აგრეთვე, აფხაზეთში, გვხვდება მრავალხმიანი „აკვნის ნანა“. მრავალხმიანი „აკვნის სიმღერა“ ტრადიციულ მუსიკაში აქვთ ოსებს, ინგუშებს, დონის კაზაკებს, ესპანელებს, უკრაინელებს, აფრიკის ზოგიერთ ტომს. მისი გავრცელების არეალი ემთხვევა მრავალხმიანობის გავრცელების კერებს.

ძნელი სათქმელია, როდის დადამკვიდრდა მრავალხმიანი „ნანა“ საოჯახო მუზიციურებაში. ყოველდღიურად (ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე) შესასრულებელი ერთხმადიანი ნიმუშისაგან განსხვავებით, ზოგ შემთხვევაში, მართლაც, შესაძლებელი იყო მისი ორ ან სამ ხმაში შესრულება. ტრადიციულ ქართულ დიდ ოჯახში ძეობის რიტუალზე, აკვანში ახალშობილის პირველი ჩაწვევისას ან ავადმყოფი ბავშვის საწოლთან შეკრებილ ახლობლებს დასაძინებელი „ნანინას“ მრავალ ხმაში შესრულება არ გაუჭირდებოდათ. საქართველოს ზოგიერთ რაიონში, მკის სამუშაოების დროს, თუ სახლში არავინ რჩებოდა,



ქალებს ბავშვები ხურჯინებით ან აკვნებით მიჰყავდათ ხოლმე მინდორში, სადაც ალბათ მრავალხმიანადაც იმღერებდნენ. საგულისხმოა ესთეტიკური ფაქტორიც, რომელსაც XIX საუკუნის ბოლოდან დაწყებულ საგუნდო-საკონცერტო პრაქტიკასთან მივყავართ. ქალთა ტრადიციული ფოლკლორის ეს პატარა ნაწილი, რომლის წარმოშობას მკვლევრები შორეულ წარსულს უკავშირებენ, მამაკაცებმა არ დაკარგეს, ინტონაციურ ფონდში შემოინახეს და მრავალხმიანი ლირიკული კომპოზიციებისთვისაც გამოიყენეს. მრავალხმიანი ლირიკული „აკვნის სიმღერის“ უმეტესი ნაწილი მუსიკალური ენის სისადავით, სტრუქტურული ლაკონურობით, ხმათასვლის მარტივი ფორმებით გამოირჩევა. ტემპი ნელი, ზომიერი, თავშეკავებულია. წამყვანი ჰომოფონური-ჰარმონიული წყობაა. არ ახასიათებს პოლიტექსტურობა, ანუ სიტყვებს ყველა ხმა ერთდროულად წარმოთქვამს. ხშირად სასიმღერო ხაზთან ერთად წარმოდგენილია საკრავი (ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, ჩანგი).

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაწერილი მრავალხმიანი „აკვნის სიმღერა“ თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელ მრავალხმიანობის ტიპსა და კომპოზიციურ პრინციპს ემყარება. აღსანიშნავია, რომ საკონცერტო ესტრადაზე ქართული „ნანა“ თავდაპირველად სწორედ მრავალხმიანი სახით ჩნდება.

XX საუკუნის 30-40 წლებიდან ვხვდებით სიმებიანი საკრავებით (ფანდური, ჩონგური) თანხლებულ სოლო და მრავალხმიან შესრულებას. რაც შეეხება ერთხმიანი ნიმუშების სასცენო ინტერპრეტაციას, გასული საუკუნის 80-იანი წლების საშემსრულებლო პრინციპებზე დაყრდნობით, ისინი ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მზეთამზემ“ გააცოცხლა. მის კვალდაკვალ, ერთხმიან „ნანებს“ პოპურების (ხშირად, გამრავალხმიანებული ვარიანტების) და უკვე თეატრალიზებული კომპოზიციების სახით გვთავაზობენ ანსამბლები: „ნანინა“, „სათანაო“, „იალონი“, „ბოლნელა“, „აილიო“, „ინანა“; ბავშვთა ანსამბლები: „კოკროჭინა“, „ამერ-იმერი“, „ერულა“ და სხვ.

მიმაჩნია, რომ ამგვარ ცდებს განსკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და ჟანრის, ასაკის, რეგიონის კანონზომიერების ცოდნით, მსმენელისა თუ სცენის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მივუდგეთ.

დასაძინებელი ნიმუშის ფუნქციური დატვირთვა საგანგებო მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ეტაპზე, როდესაც გლობალიზაციის, ურბანიზაციისა და ემანსიპაციის პროცესები საფრთხეს უქმნის ბავშვების ფაქიზ ფსიქო-ემოციურ ბუნებას, მათ მუსიკალურ სმენას და საზოგადოდ, მცირე ერების კულტურულ მემკვიდრეობას.

**ნინო კალანდაძე-მახარაძე**

*ეთნომუსიკოლოგი*

*ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული*

*პროფესორი*

# გთავაზობთ ერთხმიან ხევსურულ და სამხმიან სვანურ ნანას

## ხევსურული ნანა



# სვანური ნანა

1;4. ნა - ნილ    ნა - ნილ    ნა - ნა -    ი - ლა    ო    ჰო    ჰო  
 2. სი ლერ - დი - აქ    სი ლემ - ჩი - აქ    ო    ჰო    ჰო  
 3. დე - დე    და - დი - ლას ა - ჯყიდ - ნე    ო    ჰო    ჰო

1;4. ნა - ნილ    ნა - ნილ    ნა - ნა -    ი - ლა    ო    ჰო    ჰო  
 2. სი ლერ - დი - აქ    სი ლემ - ჩი - აქ    ო    ჰო    ჰო  
 3. დე - დე    და - დი - ლას ა - ჯყიდ - ნე    ო    ჰო    ჰო

ნა - ნა    ნა - ნი -    ლას ჯა -    ქვნი - ნე    ო    ჰო    ჰო    ჰო  
 ნა - ნა    ნა - ნი -    ლას ჯა -    ქვნი - ნე    ო    ჰო    ჰო    ჰო  
 ბა - ბა    კვი-ცრას    ა - ჯ -    რმი - ნე    ო    ჰო    ჰო    ჰო

ნა - ნა    ნა - ნი -    ლას ჯა -    ქვნი - ნე    ო    ჰო    ჰო    ჰო  
 ნა - ნა    ნა - ნი -    ლას ჯა -    ქვნი - ნე    ო    ჰო    ჰო    ჰო  
 ბა - ბა    კვი-ცრას    ა - ჯ -    რმი - ნე    ო    ჰო    ჰო    ჰო



რედაქტორი:  
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:  
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
მაკა ხარძიანი  
ლევან ვეშაპიძე

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2015

eISSN 1512 – 228X

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,  
გრიბოედოვის ქ. №8/10

ტელ: (+995 32) 2998953 ფაქსი: (+995) 2987187

E mail: [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge);  
[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2016 წლის ივნისში